საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და განკარგულებათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И РАСПОРЯЖЕНИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

171
1956

1

იანვარი

საქართ. სსრ. საქ. სახელმწიფო
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა
19 თბილისი 56

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე

ტექრედაქტორი პ. გუნიავა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/II-56 წ., ანაწყობის ზომა 6×9,5, ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3,5, საალრიცხვო-საგამომცემლო—2,73. საავტორო—2,54.

УФ02008. ტირაჟი 5000. შეკვ. № 89.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного управления издательств и полиграфической промышленности Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ

საქართველოს სსრ
განათლების მინისტრი

გ. ჯიბლაძე

27/XII-55 წ.

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ

საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე

ლ. მაღლაფერიძე

27/XII-55 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საპატიო სიგელით დაჯილდოების პირობებისა და ჩაბარების შესახებ

F-1941

იმ მიზნით, რომ წახალისებულ იქნან სახალხო-განათლების სისტემის კოლექტივები და ცალკეული მუშაკები, რომელთაც თავიანთ მუშაობაში მიაღწიეს უკეთეს შედეგებს, საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო აწესებენ საპატიო სიგელს.

საპატიო სიგელით დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების განათლების განყოფილებათა დაწესებულებებისა და საწარმოების კოლექტივები და ცალკეული მუშაკები იმ წარმატებისათვის, რომელსაც მიაღწიეს:

ა) საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებაში;

ბ) სახალხო განათლების საქმის ხელმძღვანელობასა და საკონტროლო-საინსპექციო ფუნქციების განხორციელებაში;

გ) სკოლასა და საბავშვო სახლში ბავშვების სწავლებისა და აღზრდის საქმეში;

დ) ბავშვთა სკოლამდე და სკოლის გარეშე აღზრდის საქმეში;

ე) სახალხო განათლების კადრების მომზადებისა, მეთოდური მუშაობის ორგანიზაციისა და ჩატარების და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში;

ვ) სახელმძღვანელოების, სასწავლო ნივთებისა და საბავშვო მხატვრული ლიტერატურის შექმნის საქმეში;

ზ) სახალხო განათლების დარგში სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის ჩატარებაში;

თ) სასკოლო შენობებისა და ინვენტარის მოვლა-დაცვაში, ტანსაცმლების კეთილმოწყობის, საცდელ ნაკვეთებსა და სახელოსნოებში მუშაობის დაყენების საქმეში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა სამედიცინო მომსახურების საქმეში;

კ) ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობასა და განათლების სამინისტროს სკოლების, დაწესებულებებისა და საწარმოთა ტექნიკური მომსახურების საქმეში;

ლ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საწარმოებში თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოთა დამზადებისა და მათი რეალიზაციის საქმეში;

მ) სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებისათვის თვალსაჩინო ხელსაწყოთა დამზადების საქმეში (მოწინავე მუშები, რომელთაც 6 თვის განმავლობაში ზედიზედ შეინარჩუნეს პროფესიის მიხედვით საუკეთესოს წოდება);

ნ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებისა და საწარმოების მშენებლობის საქმეში;

ო) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწესებულებებისა და საწარმოების პროფკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში.

II

1. კანდიდატებს საპატიო სიგელით დასაჯილდოებლად წამოაყენებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწესებულებათა და საწარმოთა დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტების სხდომებზე ხელმძღვანელობასთან ერთად.

2. საპატიო სიგელებით დაჯილდოება წარმოება საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომებზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად; პროფკავშირის საოლქო კომიტეტების პრეზიდიუმების სხდომებზე აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებასთან ერთად.

3. საპატიო სიგელების ჩაბარება წარმოებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწესებულებათა და საწარმოთა მუშაკების საერთო კრებებზე დაწესებულებებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ.

4. საპატიო სიგელის ბლანკების შეკვეთას აწარმოებს განათლების სამინისტრო. ბლანკები ინახება კადრების განყოფილებაში როგორც მკაცრი ანგარიშგების დოკუმენტები.

5. საპატიო სიგელის გაცემა ფორმდება სპეციალურ [illegible] სადაც ჩაიწერება დაჯილდოებული მუშაკის გვარი, სახელი, მამის სახელი, თანამდებობა და მუშაობის ადგილი (კოლექტივებისათვის — მათი დასახელება), რა მიღწევების და რამდენი ხნის მუშაობისათვის დაჯილდოვდა იგი, საპატიო სიგელის ჩაბარების თარიღი და ნომერი.

ჟურნალის წარმოებისა და შენახვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებას, ხოლო აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების განათლების სამინისტროებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილებაში — კადრების უფროს ინსპექტორს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 2031

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წ. 28 დეკემბერი

ცხაკაიას, წულუკიძისა და სიღნაღის პედაგოგიური სასწავლებლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ცხაკაიას, წულუკიძისა და სიღნაღის პედაგოგიურ სასწავლებლებს სასწავლო აღმზრდელობითს მუშაობაში მოპოვებული აქვთ ერთგვარი წარმატებები.

კარგად არის დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება წულუკიძისა და სიღნაღის პედაგოგიურ სასწავლებლებში (მასწ. თ. ბახტაძე, ნ. რუხაძე, ა. ბაქრაძე), ისტორიის სწავლება ცხაკაიას პედაგოგიურ სასწავლებელში (მასწ. კ. გრიგოლია), მათემატიკის სწავლება სიღნაღის პედაგოგიურ სასწავლებელში (მასწ. ა. წერეთელი).

აღნიშნულ სასწავლებლებში პედაგოგიური პრაქტიკა მოფიქრებულად, წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით ტარდება. მოსწავლეებს ეძლევათ სათანადო კონსულტაცია და ეწევათ პრაქტიკული დახმარება გეგმა-კონსპექტის შედგენაში და საცდელი გაკვეთილების ორგანიზებულად ჩატარებაში. ამის შედეგად ხსენებული სასწავლებლების მოსწავლეთა უმრავლესობა ცალკეული საგნის სწავლების მეთოდიკის საფუძვლიან ცოდნას და საკმაო უნარს ამჟღავნებს.

აღნიშნულ პედაგოგიურ სასწავლებლებში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული პოლიტექნიკური სწავლების გატარების საქმეში. სიღნაღის პედსასწავლებელში სახელოსნოსათვის სპეციალური ოთახია გამოყოფილი და შეძენილია ხელსაწყო-იარაღები. აქ დაწყებითი სკოლის მომავალი მასწავლებლები ხელგარჯილობის სათანადო ჩვევებს იძენენ. ამავე სასწავლებელს აქვს კარგად დამუშავებული სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი, რომელზედაც მოს-

წავლეები სათანადო პრაქტიკულ მუშაობას აწარმოებენ. ანალოგიური მდგომარეობაა წულუკიძის პედაგოგიურ სასწავლებელშიც.

მიუხედავად ამისა, პედაგოგიური სასწავლებლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს:

მოსწავლეების მიერ მისაღებ გამოცდებზე ქართულ და რუსულ ენებში შესრულებული საგამოცდო სამუშაოების ხარისხი დაბალია. შემოწმებისას წერითი სამუშაოები ქართულ და რუსულ ენებში მოსწავლეთა დიდმა უმრავლესობამ „2"-ზე შეასრულა.

თვალსაჩინო ნაკლოვანებანი გამომჟღავნდა პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარების საქმეში: სიღნაღის პედსასწავლებელში პედპრაქტიკას ყოველთვის არ ესწრებიან მეთოდისტები, ამავე სასწავლებელში 10 დეკემბერს ერთდღიან პრაქტიკას I და II კლასებში არც ერთი მეთოდისტი არ ესწრებოდა. არის შემთხვევები, როდესაც მოსწავლე პრაქტიკანტები ნაჩქარევად ადგენენ გეგმა — კონსპექტს, ან იწერენ პედაგოგიურ კაბინეტში შენახულ გეგმა-კონსპექტების ძველ ნიმუშებს და მეთოდისტების მიერ ზერელედ გადახედვის შემდეგ გაკვეთილებს მოუმზადებლად ატარებენ. ხშირად ნაჩქარევად, სათანადო მეთოდურ-პედაგოგიური ანალიზის გარეშე ტარდება გაკვეთილების გარჩევა. ცხაკაიასა და სიღნაღის პედაგოგიურ სასწავლებლებში ჩატარებული საცდელი გაკვეთილების განხილვის ოქმები სავსეა ზოგადი ფრაზებითა და სიტყვებით, რაც იმას მოწმობს, რომ ამ გაკვეთილების გარჩევას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. დაწყებითი სკოლის მასწავლებლები მოსწავლეებს საჭირო დახმარებას არ უწევენ საცდელი გაკვეთილების მომზადებაში.

ცხაკაიასა და სიღნაღის პედაგოგიურ სასწავლებლებში საგნობრივ მეთოდური კომისიების მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. ცხაკაიას პედსასწავლებელში ქართული და რუსული ენების მეთოდურ კომისიას დღემდე თითქმის არაფერი გაუკეთებია (კომისიის ხელმძღვანელი ნ. ბოკუჩავა), ხოლო სიღნაღის პადაგოგიურ სასწავლებელში პედაგოგიკის საგნობრივი კომისიის მუშაობა (ხელმძღვ. თანდაშვილი) მოწყვეტილია სასწავლებლის პრაქტიკულ საქმიანობას. კომისიას სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული აქვს ზოგადი პედაგოგიური საკითხების დამუშავება. აღნიშნულ პედსასწავლებელში პედაგოგიური კაბინეტი არ არის უზრუნველყოფილი ბინით, არ გააჩნია საკმაო რაოდენობით ის თვალსაჩინო მასალები,

რაც აუცილებელია საცდელი გაკვეთილების შინაარსიანად ჩატარებისათვის.

არ ექცევა ყურადღება ცალკეული საგნების სწავლებისა მეთოდური ლიტერატურის შეძენას და მოსწავლე-პრაქტიკანტების მიერ შესრულებული და საცდელ გაკვეთილებზე გამოყენებული თვალსაჩინო მასალების შენახვას.

პოლიტექნიკური განათლების ხაზით პედსასწავლებლებში დღემდე ჩატარებული მუშაობა სავსებით ვერ უზრუნველყოფს დაწყებითი სკოლის მომავალ მასწავლებლებს იმ ცოდნა-ჩვევებით, რაც მათთვის არის საჭირო. ცხაკაიას პედსასწავლებელში არ არის სახელოსნო და არც რაიმე ხელსაწყო-იარაღი მოიპოვება. შრომის გაკვეთილები ტარდება საკლასო ოთახებში და სამუშაო მასალად გამოყენებულია მხოლოდ მუყაო. წულუკიძის პედსასწავლებლის სახელოსნო არ არის მთლიანად უზრუნველყოფილი საჭირო იარაღებითა და მასალით. ზოგ შემთხვევაში სახელოსნოში მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგანაც მოსწავლეთა მთელი შემადგენლობა შრომაში არ არის ჩაბმული.

ცხაკაიასა და წულუკიძის პედაგოგიურ სასწავლებლებში არ ტარდება დილის გამამხნევებელი ვარჯიში, ფიზკულტურის მოედნები მოუწყობელია, არ გააჩნიათ საჭირო რაოდენობით სპორტული ინვენტარი და არ მუშაობენ სპორტული სექციები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ცხაკაიას, წულუკიძის, სიღნაღისა და სხვა პედსასწავლებლების დირექტორებს მიიღონ გადამჭრელი ზომები, რათა:

ა) მეთოდისტები და პედაგოგიკის მასწავლებლები სათანადო კონსულტაციასა და კონკრეტულ დახმარებას უწევდნენ მოსწავლე-პრაქტიკანტებს გეგმა-კონსპექტის შედგენასა და საცდელი გაკვეთილების მომზადებულად ჩატარებაში;

ბ) დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა საჭირო დახმარება გაუწიონ პრაქტიკანტ-მოსწავლეებს პრაქტიკის მაღალხარისხოვნად ჩატარების საქმეში;

გ) სათანადო საგნის მეთოდისტები აუცილებლად ესწრებოდნენ პედპრაქტიკას და ხელმძღვანელობდნენ გაკვეთილების გარჩევას. გარჩევაში აქტიურად ჩაებან მოსწავლეები;

დ) უზრუნველყონ პედკაბინეტები სათანადო ბინებით, მიზან-

შეწონილად გამოიყენონ კაბინეტისათვის საჭირო თვალსაჩინო მასალების შესაძენად ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები;

ე) მეთოდკომისიების ხელმძღვანელებმა მუშაობა იმგვარად წარმართონ, რომ დაუახლოვდნენ პედსასწავლებლის პრაქტიკულ ამოცანებს. კომისიამ განხილვისა და შესწავლის საგნად აქციოს პედპრაქტიკის ჩატარების ორგანიზაციის, გეგმა-კონსპექტის შედგენის, გაკვეთილების გარჩევის, პედკაბინეტის მუშაობის გარდაქმნის, თვალსაჩინოებისა და სხვა საკითხები, რომლებიც მასწავლებლებს ქმედითად დაეხმარებიან სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის სათანადოდ დაყენების საქმეში;

ვ) აღკვეთონ მისაღები გამოცდების დროს მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალური შეფასება და არ დაუშვან სასწავლებელში შეუფერებელი კონტინგენტის ჩარიცხვა;

ზ) გამონახონ საჭირო თანხა ხელსაწყო-იარაღებისა და მასალების შესაძენად, იმ ვარაუდით, რომ უახლოეს დროში უზრუნველჰყონ შრომის გაკვეთილების ნორმალურად ჩატარება;

თ) უზრუნველყონ ფიზკულტურის მოედნების მოწყობა, სასპორტო ინვენტარის შეძენა საჭირო რაოდენობით და ძველი ინვენტარის სრულ წესრიგში მოყვანა. სათანადო სიმაღლეზე დააყენონ სპორტული სექციების მუშაობა და მიიღონ ზომები გამაჯანსაღებელი ვარჯიშის სისტემატურად ჩატარებისათვის;

ი) აღნიშნული ბრძანება განიხილონ პედსაბჭოს სხდომებზე, დასახონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი.

2. პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სასწავლებლების სამმართველომ უზრუნველყოს ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლის დაწესება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **ვ. ჯიგლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 8

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 3 იანვარი

ახმეტის, ვანის, წითელწყაროს, მაიაკოვსკის და დუშეთის რაიონებში მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მოწყობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ახმეტის, ვანის, წითელწყაროს, მაიაკოვსკის და დუშეთის რაიონების განათლების განყოფილებები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ მშრომელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მოწყობის საქმეს.

ახმეტის, ვანის, დუშეთის და მაიაკოვსკის რაიონების განათლების განყოფილებათა აპარატში არაა გამოყოფილი ინსპექტორი, რომელსაც დავალებული ჰქონდეს მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მოწყობის საქმე.

არ სრულდება პატრონირებულ ბავშვთა წლიური გეგმა: დუშეთის რაიონში 1955 წლის 1 იანვრისათვის პატრონატზე ირიცხებოდა 33 ბავშვი და მოზარდი, მაშინ, როდესაც 1955 წლის ბოლოს უნდა ყოფილიყო 60; მაიაკოვსკის რაიონში 1954 წლის გეგმა შესრულებულია 65 %-ით;

ახმეტის, ვანის, წითელწყაროს, მაიაკოვსკის და დუშეთის რაიონების განათლების განყოფილებებში პატრონირება გაფორმებული არაა არსებული ინსტრუქციის მიხედვით; დუშეთისა და ახმეტის რაიონების განათლების განყოფილებები პატრონირებულ ბავშვებზე ხელშეკრულებას სრულიად არ აფორმებენ; დუშეთის განათლების განყოფილებაში პატრონირებულ ბავშვთა სიას სათანადო საბუთების წარდგენის შემდეგ (ცნობა სკოლიდან და ობლობის შესახებ) ყოველწლიურად აფორმებენ და ამტკიცებენ რაისა-

ბჭოს აღმასკომის სხდომებზე, რაც ეწინააღმდეგება არსებულ წესს; ახმეტის განათლების განყოფილებაში კი პატრონატის თანხის გაცემას აწარმოებენ თვით პატრონირებულ ბავშვზე.

ახმეტის, ვანის, მაიაკოვსკის და დუშეთის რაიონების განათლების განყოფილებებში არ იცავენ პატრონირებულ ბავშვებზე დახმარების გაცემის მთავრობის მიერ დამტკიცებულ წესს: აძლევენ დახმარებას 15, 16 წლის და მეტი ასაკის მოზარდებს.

ახმეტის და ვანის რაიონების განათლების განყოფილებებში პატრონირებულ ბავშვებზე დახმარება იცემა არა ყოველთვიურად, როგორც ეს დადგენილია, არამედ კვარტალში ერთხელ. !

დუშეთის რაიონის განათლების განყოფილებაში გაშვილება არ ფორმდება.

დუშეთისა და წითელწყაროს რაიონების განათლების განყოფილებათა მიერ ანგარიშით № 103 ზუსტად არაა ნაჩვენები პატრონატზე მყოფ ბავშვთა და მოზარდთა რიცხვი 1955 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ახმეტის, ვანისა, წითელწყაროს, მაიაკოვსკისა და დუშეთის რაიონების განათლების განყოფილებებში არაა შემოღებული ჟურნალის წარმოება პატრონირებულ ბავშვთა აღსარიცხავად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მოწყობის საქმის არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობისათვის დუშეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ო. გ. ბურდულს და ახმეტის რაიონის განათ. განყ. გამგეს ამხ. ს. ზ. ხოსიაშვილს მიეთითოთ, ხოლო ვანის, წითელწყაროს და მაიაკოვსკის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები ამხ. ამხ. გ. ს. ძაგნიძე, მ. ი. ლაპიაშვილი და ს. ო. კოტორეიშვილი გაფრთხილებულ იქნან.

2. დაევალოს ახმეტის, ვანის, წითელწყაროს, მაიაკოვსკის და დუშეთის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) პატრონირება, მეურვეობა და გაშვილება გააფორმონ თანახმად არსებული ინსტრუქციისა;

ბ) მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მეურვეობის, პატრონირების და გაშვილების საქმეზე გამოყონ ერთ-ერთი ინსპექტორი;

გ) პატრონირებულ ბავშვებსა და მოზარდებზე ყოველთვიური დახმარების გაცემის დროს ზუსტად იხელმძღვანელონ ინსტრუქციით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) წესად შემოიღონ პატრონირებულ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატური შესწავლა არა ნაკლებ ორისა წლის განმავლობაში;

ე) განუხრელად შეასრულონ ინსტრუქცია პატრონირებულ ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის წესის შესახებ.

3. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ი. ჩინჩალაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას და შედეგი მომახსენოს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ვ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 9

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 3 იანვარი

ქ. თბილისის მეორე გამაჯანსაღებელი, საჩხერის, მარნეულისა და ახალციხის რაიონების საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ქ. თბილისის მეორე გამაჯანსაღებელი, საჩხერის, მარნეულისა და ახალციხის რაიონების საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმებით დადასტურდა, რომ აღნიშნულ საბავშვო ბაღებში ადმინისტრაციულ-სამეურნეო და პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული.

საჩხერის მეორე საბავშვო ბაღის შენობა საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. მარნეულის საბავშვო ბაღის შენობაში სამი ოთახი დაკავებული აქვს სხვა დაწესებულებებს, აქ ჩატარებული რემონტი უხარისხოა: ჭერი ადგილ-ადგილ ჩამონგრეულია და წყალი ჩამოდის, აღნიშნული საბავშვო ბაღების ეზოები მოუვლელი და მოუწყობელია.

ახალციხის მეორე საბავშვო ბაღის გამგემ ს. ვოსკანიანმა საბავშვო ბაღის ეზოში წამოიწყო საკუთარი სახლის მშენებლობა და სხვებსაც შეუწყო ხელი ამავე ეზოში ბინები აეშენებიათ.

საჩხერის, მარნეულისა და ქ. თბილისის მეორე გამაჯანსაღებელი საბავშვო ბაღები რბილი და მაგარი ინვენტარის ნაკლებობას განიცდიან.

მარნეულის საბავშვო ბაღს არა აქვს საბავშვო მაგიდები, ხადილისა და ჩაის ჭურჭელი, რის გამო ბავშვები რიგრიგობით ჭამენ საჭმელს. არსებული მაგარი და რბილი ინვენტარი მოუვლელი და ჭუჭყიანია. მაშინ, როდესაც საბავშვო ბაღს არ გააჩნია აუცილებელი ინვენტარი, განათლების განყოფილებას მისთვის შეუძენია

ჭურჭლის კარადა („სერვანდი"), რომელიც საკუჭნაოში სურსათის შესანახადაა გამოყენებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. თბილისის მეორე გამაჯანსაღებელი, საჩხერის და მარნეულის საბავშვო ბაღებში ბავშვებს არ აცვიათ ხალათები, მოუწესრიგებელი აქვთ ტანსაცმელი, არა აქვთ ინდივიდუალური ხელსაწმენდები და პირსახოცები.

საჩხერის მეორე (გამგე — ვ. მაჭარაშვილი) და მარნეულის (გამგე მ. აშიგოვა) საბავშვო ბაღების შენობებში ანტისანიტარული მდგომარეობაა. აღნიშნულ საბავშვო ბაღებს არა აქვს აღმზრდელობითი დაწესებულების სახე, არ იგრძნობა მზრუნველი ხელი ბავშვების აღზრდასა, თუ სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობაზე.

ქ. თბილისის მეორე გამაჯანსაღებელი საბავშვო ბაღი ვერ ამართლებს თავის სახელწოდებას; ის სადღე-ღამისო საბავშვო ბაღს უფრო წააგავს, ვიდრე სანატორიული ტიპის დაწესებულებას. აქ მთელი წლის განმავლობაში ერთი და იგივე ბავშვები ირიცხებიან.

მარნეულისა და საჩხერის საბავშვო ბაღებს არა ჰყავთ მომსახურე სამედიცინო პერსონალი.

არადამაკმაყოფილებელია ბავშვების კვება. ეს საბავშვო ბაღები არ მარაგდებიან ნორმირებული პროდუქტებით: ხორცით, ცხიმით, რძის ნაწარმით, ბოსტნეულითა და სხვა. ზოგჯერ კი განკუთვნილი ნორმები ბავშვებამდე არ დადის. მაგ., მარნეულის საბავშვო ბაღის მზარეულს არ ჰქონდა ფაქტურა, პროდუქტებს თვალზომით ანაწილებდა, ხოლო ქ. თბილისის მეორე გამაჯანსაღებელ საბავშვო ბაღში 100 ბავშვისათვის გაწერილი პროდუქტი სამზარეულოში იმავე წონით არ აღმოჩნდა, (დააკლდა შაქარს 0,5 კგ., მანდარინს 3,75 კგ. და სხვა.) ხოლო საწყობში სურსათის შერჩევითმა შემოწმებამ შემდეგი სხვაობა მოგვცა: მანდარინი დააკლდა 7,4 კგ., კარაქი—0,3 კგ, შაქარი კი 1,7 კგ-ით მეტი აღმოჩნდა.

შემოწმებით დადასტურდა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მ/წ 13 სექტემბრის ბრძანებას №1589 საბავშვო ბაღების პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტების შესახებ, საჩხერისა და მარნეულის განათლების განყოფილებები არ ასრულებენ, რის შედეგადაც აღნიშნული რაიონების საბავშვო ბაღები დაკომპლექტებულია შეუფერებელი პედაგოგიური კადრებით.

მარნეულის საბავშვო ბაღის გამგე მ. აშიგოვა და აღმზრდელი დ. კილინკაროვა ზოგადი განათლებით არიან. ისინი სულ არ იცნობენ საბავშვო ბაღში ბავშვებთან მუშაობის შინაარსსა და ამოცანებს. ასეთივე მდგომარეობაა საჩხერის მეორე საბავშვო ბაღში. ყურადღება არ ექცევა ბავშვებისა და თანამშრომელთა პირად ჰიგიენას (მარნეულის, საჩხერისა და თბილისის მე-2 გამაჯანსაღებელი საბავშვო ბაღები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარნეულისა და საჩხერის მეორე საბავშვო ბაღებში მოუწესრიგებელია პედაგოგიური გარემო: არა აქვთ საკმაო რაოდენობით სასწავლო ნივთები და სათამაშოები. მარნეულის საბავშვო ბაღს სათამაშოები სულ არ გააჩნია. საბავშვო ბაღების გამგეები ყოველდღიურ მუშაობაში საჭირო პედაგოგიურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას ვერ უწევენ აღმზრდელებს. მარნეულის საბავშვო ბაღის გამგე პედაგოგიურ-აღმზრდელობით მუშაობაში სრულ უცოდინარობას ამჟღავნებს. მან ისიც კი არ იცის, რომ საჭიროა სამუშაო გეგმის შედგენა, არ იცნობს „სახელმძღვანელოს საბავშვო ბაღის აღმზრდელისათვის“.

ქ. თბილისის მეორე გამაჯანსაღებელი საბავშვო ბაღის გამგე ფ. დგებუაძე პედაგოგებს ვერ უწევს სისტემატურ ხელმძღვანელობას; გამორკვევის დღეს პედაგოგებს ა. სარქისოვას და ზ. ელიზბარაშვილს სამუშაო გეგმები არ ჰქონდათ. ისინი არ აწარმოებენ ჩატარებული მუშაობის აღრიცხვას, არა აქვთ მეცადინეობათა განრიგი. უგულებელყოფილია რეჟიმით გათვალისწინებული ჰაერზე გასეირნების საათები. მარნეულის საბავშვო ბაღს კი რეჟიმი სულ არ გააჩნია.

ფ. დგებუაძე თანამშრომელთა მიმართ ხშირად იჩენს უხეშობას, რაც ჰქმნის არაჯანსაღ ატმოსფეროს კოლექტივში.

აღნიშნული საბავშვო ბაღების მუშაობას არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ განათლების განყოფილებები.

ვ ბ რ ძ ა ნ ებ:

1. მარნეულის საბავშვო ბაღის გამგე მ. აშიგოვა, როგორც შეუფერებელი მუშაკი, განთავისუფლებულ იქნას სამუშაოდან.

2. დაევალოს მარნეულის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. შ. მამედოვს დასვას საკითხი საკონფლიქტო კომისიის წინაშე აღმზრდელ დ. კილინკაროვას სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

3. მარნეულის საბავშვო ბაღის უფროსი ჯგუფის აღმზრდელი ე. ბორშენკო დაქვეითებულ იქნას შემცვლელ აღმზრდელად, სუსტი პედაგოგიური მუშაობისათვის.

4. დაევალოს ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. თ. მათიაშვილს განიხილოს მეორე გამაჯანსაღებელი საბავშვო ბაღის მუშაობის შემოწმების შედეგები, გაატაროს სათანადო ღონისძიებანი და შედეგი აცნობოს განათლების სამინისტროს 1956 წლის 15 იანვრამდე.

5. ახალციხის საბავშვო ბაღის გამგეს ს. ვოსკანიანს საბავშვო ბაღის ეზოში საკუთარი სახლის მშენებლობის დაწყების ცდისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

6. ეთხოვოს მარნეულისა და საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომებს:

ა) გაათავისუფლონ მარნეულის საბავშვო ბაღის შენობა სხვა დაწესებულებებისაგან, ხოლო საჩხერის მეორე საბავშვო ბაღს გამოენახოს შესაფერისი ბინა;

ბ) შეუქმნან საბავშვო ბაღებს მუშაობისათვის ნორმალური პირობები;

გ) მოაგვარონ საბავშვო ბაღებში სამედიცინო მომსახურეობის საქმე;

დ) ჩაატარონ მარნეულის საბავშვო ბაღის დოკუმენტური რევიზია 1956 წ. 1/II-დე და შედეგი აცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

7. გაფრთხილებულ იქნან მარნეულისა და საჩხერის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები ამხ. შ. მამედოვი და ვ. ჭიხორია საბავშვო ბაღებზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის.

8. დაევალოს საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებას (უფროსი ამხ. ვ. ი. ჩინჩალაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 30 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 16

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 4 იანვარი

ქ. თბილისის სკოლებში მოსწავლეთა შრომითი აღზრდის მდგომარეობის შესახებ

[1956]

აღვნიშნავ, რომ ქ. თბილისის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების საქმეში ერთგვარი წარმატებებია მოპოვებული. საშეფო ორგანიზაციების დახმარებით დღითი-დღე უმჯობესდება სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზა. პრაქტიკულ მეცადინეობას მიწის ნაკვეთსა და სასწავლო სახელოსნოებში, პრაქტიკუმებს სოფლის მეურნეობასა, მანქანათმცოდნეობასა და ელექტროტექნიკაში — ძირითადად გამოცდილი მასწავლებლები ატარებენ. თვალსაჩინოდ იზრდება სკოლების კავშირი წარმოებებთან. მოსწავლე ახალგაზრდობა წარმატებით ეუფლება სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის საფუძვლებს.

ამ მხრივ ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან მე-12 (შეფი კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა), 29-ე (შეფი თბილისის რადიოტექნიკუმი), 77-ე (შეფი თბილისის ზეთსახდელი ქარხანა) სკოლები. აღნიშნულ სკოლებში საზეინკლო, მექანიკური და ხის დასამუშავებელი სახელოსნოებისათვის გამოყოფილია 2—3 ოთახი. სახელოსნოები უზრუნველყოფილია მუშაობის პროცესში საჭირო ხელსაწყოებით, მოწყობილობებით და მასალებით. ამ სკოლებში როგორც პრაქტიკული მეცადინეობა სახელოსნოებში, ისე პრაქტიკუმი მანქანათმცოდნეობაში ნორმალურად მიმდინარეობს. V—VI კლასის მოსწავლეები დაუფლებული არიან ხის დეტალების შეერთების, ლითონის ჭრის, ქლიბვის და სხვ. წესებს. IX კლასის მოსწავლეები ამზადებენ ჩაქუჩებს, კუთხედებს, ჭანჭიკებს და სხვ.

კარგად არის დაყენებული ავტოსაქმის სწავლება მე-3 რ. მასწ. ინ-

საჯარო ბიბლიოთეკა

ჟინერ-მექანიკოსი გ. ნანიტაშვილი), 25-ე (მასწ. ი. დავითიანი) საშუალო სკოლების X კლასებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლო სახელოსნოები ეწყობა პირველ, მე-4, მე-18, 87-ე, 88-ე და სხვა საშუალო სკოლებში. 78-ე საშუალო სკოლაში კარგად არის დაყენებული V—VI კლასების მოსწავლეთა შრომითი აღზრდა ნაკვეთზე პრაქტიკული მეცადინეობის პროცესში. ამ სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთი ყოველმხრივ კეთილმოწყობილია. იგი დაყოფილია ნაკვთურებად, სადაც მოსწავლეთა ცალკეული რგოლები ცდებსა და დაკვირვებებს ატარებენ. VIII—X კლასებში სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის სწავლებასთან დაკავშირებით მასწავლებლები ფართოდ იყენებენ ექსკურსიებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში.

ასევე დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პრაქტიკული მეცადინეობა ნაკვეთზე და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის სწავლება პირველ, მე-4, მე-18, 23-ე, 36-ე 41-ე და 71-ე საშუალო სკოლებში.

მიუხედავად ამისა, მოსწავლეთა შრომითი აღზრდა მთელ რიგ სკოლებში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება.

34-ე, მე-6 და მე-7 საშუალო სკოლებს საშეფო ორგანიზაციებმა გადასცეს აუცილებელი ხელსაწყო-იარაღები, მაგრამ სასწავლო სახელოსნოსათვის სათანადო ბინის უქონლობის გამო ეს მოწყობილობა სწავლების პროცესში გამოუყენებელია.

63-ე, 65-ე და 68-ე საშუალო სკოლებს არ გააჩნიათ პრაქტიკუმის ჩატარებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები. აღნიშნულ სკოლებს, ბინის სივიწროვის გამო, საშუალება არა აქვთ სახელოსნოებისათვის გამოჰყონ სათავსოები.

ზოგან პრაქტიკუმები მოუმზადებლად და დაბალ დონეზე ტარდება. 22-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ინჟინერი ი. კვარაცხელია არ იცნობს მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის პროგრამასა და პრაქტიკუმებს მოუმზადებლად ატარებს. მან VIII კლასში ვერ შესძლო შიდაწვის ძრავის ჭრილზე აფეთქებისა და მუშასვლის სათანადო დემონსტრირება. მასწავლებელმა არ მოაგონა მოსწავლეებს ფიზიკიდან საკითხები, რომლებიც შიდაწვის ძრავში მიმდინარე პროცესებთან არის დაკავშირებული.

მოუმზადებლად გამოცხადდა გაკვეთილზე 29-ე საშუალო

სკოლის მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელი ლ. გეჯაძე. მან X კლასში ერთხელ გადაცემული მასალა „შიდაწვის ძრავას მუშაობის პროცესი“ ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე მეორეჯერ ახსნა. მასწავლებელმა არ მოაგონა მოსწავლეებს ფიზიკიდან წნევის თბოუნარიანობის, ენერგიის გარდაქმნისა და მოძრაობის სახეობის საკითხები.

არაორგანიზებულად ტარდება ელექტროტექნიკის პრაქტიკუმი 31-ე საშუალო სკოლაში. მასწავლებელი ნ. გახარია კლასს ვერ აბამს მუშაობაში, მოსწავლეებს არ აძლევს საშინაო დავალებებს და ვერ უზრუნველჰყოფს მოსწავლეთა წესრიგს გაკვეთილზე. მე-17 საშუალო სკოლის ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის მასწ. ნ. შონია მოსწავლეებს მხოლოდ ფიზიკის ამოცანების ამოხსნაზე ავარჯიშებს და პრაქტიკუმის პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს უყურადღებოდ ტოვებს.

მე-6 საშუალო სკოლაში (მასწ. ნ. ჯავრიშვილი) სუსტადაა დაყენებული მოსწავლეთა შრომითი აღზრდა ნაკვეთზე პრაქტიკულ მეცადინეობასთან დაკავშირებით. სკოლას არა აქვს სასწავლო-საცდელი ნაკვეთი და ნაკვეთზე პრაქტიკულად მეცადინეობის საათები თეორიული ხასიათის საუბრებით ამოიწურება. ზეპირსიტყვიერი სწავლების გამო მოსწავლეებს არ გააჩნიათ სათანადო პრაქტიკული ჩვევები. მსგავს მდგომარეობას ადგილი აქვს 24-ე საშუალო სკოლაში (მასწ. ი. ნებიერიძე).

48-ე, 55-ე, 88-ე, 89-ე საშუალო სკოლებმა სრულებით არ გამოიყენეს სწავლების პროცესში ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ტერიტორიაზე მათთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები. ეს ნაკვეთები მოუვლელი და დაუმუშავებელია. სათანადოდ არ უვლიან ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ტერიტორიაზე გამოყოფილ ნაკვეთებს 38-ე, 67-ე, და 68-ე საშუალო სკოლები.

მე-6, 24-ე და 34-ე საშუალო სკოლებში პრაქტიკუმი სოფლის მეურნეობაში სრულიად არ ისწავლება, ხოლო მე-8 საშუალო სკოლაში აღნიშნული საგნის სწავლება სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა გაცნობის გარეშე, ზეპირსიტყვიერად სწარმოებს.

ზოგიერთ სკოლაში სახელოსნოებისათვის შერჩეულია სრულიად უვარგისი სათავსოები (ბნელი და პატარა ოთახები, სარდაფები).

შესაფერისი კადრების უყოლობის გამო პრაქტიკუმის საათები

სოფლის მეურნეობასა, მანქანათმცოდნეობასა და ელექტროტექნიკაში ბევრგან კლასის ერთ ნახევარს უცდება, ან მთელ კლასთან სწარმოებს მუშაობა, რაც არ იძლევა სასურველ შედეგს.

პრაქტიკუმის ზოგიერთი მასწავლებელი არ იცნობს პროფილისა. მე-60 საშუალო სკოლის XI კლასში ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის ნაცვლად მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმები, ხოლო 88-ე საშუალო სკოლის X კლასში მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის ნაცვლად საზეინკლო საქმე ისწავლებოდა. მე-4 და მე-18 საშუალო სკოლების XI კლასებში ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის ნაცვლად ავტოსაქმეს ასწავლიდნენ. მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი მე-14 საშუალო სკოლაში.

რიგ სკოლებში არ ხორციელდება სათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი ახალი საგნების მასწავლებელთა მუშაობაზე. 24-ე და 36-ე საშუალო სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეებს თ. დოლიძეს და ი. მელქაძეს პირველ მეოთხედში ახალი საგნების მასწავლებლის *არცერთი გაკვეთილი არ მოუსმენიათ. სუსტად* მუშაობენ მეთოდკომისიები, რომლებშიც ახალი საგნების მასწავლებლები არიან გაერთიანებული.

სკოლების ერთ ნაწილს ახალი საგნები გაკვეთილების ცხრილში სრულებით არ შეაქვს ან შეაქვს ნაცვლად ორისა ერთი საათი კვირაში.

ყურადღება არ ექცევა სასკოლო ბიბლიოთეკების შევსებას ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურით.

მთელი რიგი სკოლებისა და განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა ჩაბმას ტექნიკურ და ნორჩ ნატურალისტთა წრეებში. ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის წრეებში არც ერთი მოსწავლე არ არის ჩაბმული ლენინის, სტალინის და მოლოტოვის სახელობის რაიონების სკოლებიდან. ლენინის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის წრეებში არც ერთი მოსწავლე არ არის ჩაბმული ამ რაიონის მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 საშუალო სკოლებიდან.

სათანადო დახმარებას არ უწევს სკოლებს ქალაქის ზოგიერთი შეფი-წარმოება. ფართო მოხმარების საგნების ქარხანას და ფეხსაცმელის № 2 ფაბრიკას არავითარი დახმარება არ გაუწევია შეფად აყვანილ 67-ე, 69-ე და 104-ე საშუალო სკოლებისათვის. საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა, ჯართისმაგვარი, ყოვლად

უვარგისი ხელსაწყო-იარაღები გადასცა მე-17 საშუალო სკოლას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგემ (თ. მაღრაძე-შვილი) და თბილისის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (გ. ცქიტიშვილი, ა. მეტრეველი, ვ. მაღლაფერიძე, ა. კალატოზიშვილი, ნ. მჭედლიშვილი, დ. კუბლაშვილი, მ. იავრიანი, შ. ბერაძე):

ა) ყველა ღონისძიება გაატარონ სკოლებში ახალი საგნების სწავლებისათვის მტკიცე მატერიალური ბაზის შესაქმნელად. მოკლე ვადაში მიაღწიონ იმას, რომ ქალაქის ყველა სკოლას ჰქონდეს სასწავლო სახელოსნოები და ავტოსაქმისა და ელექტროტექნიკის სწავლებისათვის აუცილებელი ხელსაწყო-იარაღები, ინსტრუმენტები, მოწყობილობანი და სათანადო სათავსოები;

ბ) ორი თვის ვადაში უზრუნველჰყონ ქალაქის სკოლები მიწის ნაკვეთებით. ამ მიზნით მთელი შესაძლებლობით გამოიყენონ სკოლების ეზოები, ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ტერიტორიაზე არსებული თავისუფალი მიწის ფართობები და სხვ. გადამჭრელი ზომები მიიღონ იმ სკოლების მიმართ, რომელნიც არ იყენებენ სწავლების პროცესში ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ტერიტორიაზე მათთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებს;

გ) კომკავშირის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებთან მჭიდრო კავშირში უზრუნველჰყონ სკოლებსა და საწარმოებს შორის კავშირის უფრო მეტად განმტკიცება;

დ) მიაღწიონ სკოლების დაკომპლექტებას ახალი საგნების მასწავლებელთა სათანადო კადრებით;

ე) ახალი საგნების სწავლების გაუმჯობესების მიზნით უზრუნველჰყონ ამ საგნების მასწავლებელთა მივლინება მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე.

2. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) შესაფერისი ბინები გამოუყონ სასწავლო სახელოსნოებს, იზრუნონ საზეინკლო და მექანიკური სახელოსნოების აღჭურვისათვის სოფლის მეურნეობის, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის სწავლებისათვის აუცილებელი ხელსაწყოებით;

ბ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ახალი საგნების სწავლებაზე. ხშირად დაესწრონ გაკვეთილებზე სოფლის მეურნე-

ობის, მანქანათმცოდნეობის და ელექტროტექნიკის მასწავლებლებს, მისცენ მათ საჭირო პედაგოგიური რჩევა-დარიგებანი და ამ საგნების სწავლების გაუმჯობესების მიზნით დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი. გადაჭრით გააუმჯობესონ მეთოდკომისიების მუშაობა, რომლებშიც ახალი სასწავლო დისციპლინების მასწავლებლები ერთიანდებიან;

გ) გააძლიერონ კავშირი სკოლასა და წარმოებას შორის. საშეფო ორგანიზაციებთან მტკიცე კავშირში უზრუნველყონ სკოლის სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცება და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. საკუთარი სასწავლო მატერიალური ბაზის უქონლობის შემთხვევაში პრაქტიკუმების ჩასატარებელ სასწავლო ბაზად გამოიყენონ საწარმოთა ცეხები, კაბინეტები, ლაბორატორიები;

დ) არ დაუშვან გაკვეთილების ცხრილში ახალი საგნების შეუტანლობა. მიაღწიონ იმას, რომ ამ საგნების გაკვეთილებზე კლასები იყოფოდეს ორად და მეცადინეობა ერთდროულად მიმდინარეობდეს კლასის ორივე ჯგუფთან;

ე) ახალი საგნების სწავლებისას მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პროგრამებითა და მითითებებით. არ დაუშვან ცალკეულ კლასებში პროგრამით გათვალისწინებული საგნების გადაჯგუფება და პროგრამული მასალის გადანაცვლება;

3) იზრუნონ ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურით სასკოლო ბიბლიოთეკების შევსებისათვის;

ზ) გააუმჯობესონ ტექნიკური და ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმას რაიონულ და ცენტრალურ ტექნიკურ სადგურებსა და ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურთან არსებულ წრეებში.

3. ახალი საგნების მასწავლებლებმა:

ა) მკვეთრად გააუმჯობესონ სწავლების ხარისხი; მოაწყონ, შეავსონ და წესრიგში მოიყვანონ საზეინკლო, მექანიკური სახელოსნოები და სასწავლო-საცდელი ნაკვეთები. სწავლების პროცესში მაქსიმალურად გამოიყენონ თვალსაჩინოება (მოდელები, სქემები, ტაბულები, კოლექციები და სხვ.);

ბ) სისტემატურად იზრუნონ საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; გაეცნონ ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო ლი-

ტერატურას. სწავლების უკეთ დაყენების მიზნით ცალკეულ საკითხებზე კონსულტაციისათვის მიმართონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) არ დაუშვან ახალი საგნების სწავლების ხარჯზე სხვა რომელიმე საგნის სწავლება;

დ) პრაქტიკუმების სწავლების პროცესში ფართოდ გამოიყენონ ექსკურსიები საწარმოებში, რისთვისაც განუხრელად იხელმძღვანელონ სათანადო საგნების პროგრამებში მითითებულ ექსკურსიის თემატიკით და შესაფერისი პედაგოგიური ლიტერატურით.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა გააძლიეროს სოფლის მეურნეობის, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმების მასწავლებელთა როგორც წარმოებიდან მოწყვეტით, ისე მოუწყვეტლად გადამზადება.

5. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტმა:

ა) შექმნას და გამოსცეს მეთოდური ლიტერატურა ელექტროტექნიკის, მანქანათმცოდნეობისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმების მასწავლებელთა დასახმარებლად;

ბ) ფართოდ განაზოგადოს მოწინავე სკოლებისა და მასწავლებელთა გამოცდილებანი ახალი საგნების სწავლებასთან დაკავშირებით.

6. სკოლების სამმართველომ:

ა) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი რესპუბლიკის სკოლებში ახალი საგნების სწავლებაზე;

ბ) სასკოლო ინსპექტორთა და მოძრავი ლაბორატორიის მუშაკთა ძალებით სასწავლო წლის III მეოთხედში შეისწავლოს ახალი საგნების სწავლების მდგომარეობა რესპუბლიკის სკოლებში და შედეგი მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 24 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 19

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 4 იანვარი

ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების სოფლის ახალგაზრდობის რვაწლიან სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების სოფლის ახალგაზრდობის რვაწლიანი სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს.

აღნიშნული რაიონების სკოლების ხელმძღვანელები და მასწავლებლები არასაკმაო აღმზრდელობით მუშაობას ატარებენ მოსწავლე ახალგაზრდობას შორის, რის შედეგადაც ადგილი აქვს მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევებს. ასე, მაგალითად: წყალტუბოს სოფლის ახალგაზრდობის სკოლის (დირექტორი შ. ჯანელიძე) V კლასში მოსწავლეთა გამოუცხადებლობის გამო მეცადინეობა არ ჩატარებულა მიმდინარე წლის 14, 15 და 16 დეკემბერს. მეცადინეობის გაცდენის ხშირი შემთხვევებია აგრეთვე ქუთაისის რაიონის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებშიც.

მოუგვარებელია გეგმიანობა: წლიური, კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიური და მასწავლებელთა გაკვეთილების გეგმები მოუფიქრებლად არის შედგენილი.

სუსტად მუშაობენ პედაგოგიური საბჭოები. არ წარმოებს განსახილველი საკითხების შესწავლა და მიღებული დადგენილებანიც არაფრისმთქმელია.

უხეშად არის დარღვეული გაკვეთილების ცხრილის შედგენის პრინციპები.

ქუთაისის რაიონის სოფ. ოფშკვითისა და წყალტუბოს სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორებს ვ. კეპულაძეს და შ. ჯა-

ნელიძეს მიმდინარე წლის 20 დეკემბრამდე არც ერთი გაკვეთილი არ ჰქონდათ მოსმენილი.

მოუთმენელ მდგომარეობაშია სოფლის ახალგაზრდობის რვაწლიანი სკოლების დოკუმენტაცია: იმის მიუხედავად, რომ ოფშკვითის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის VIII კლასის მოსწავლე ღ-ს გასული სასწავლო წლის I და II ნახევრის მანძილზე აკადემიური წარმატების ჟურნალში ყველა საგანში აქვს „2“, პედსაბჭოს დადგენილებაში აღნიშნულია: „დაამთავრა რვა კლასი“.

მოსწავლეები უზრუნველყოფილი არ არიან სახელმძღვანელოებით და სწავლისათვის საჭირო სხვა სასწავლო ნივთებით.

ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სკოლები დაკომპლექტებული არ არიან შესაფერისი პედაგოგიური კადრებით.

დაბალ დონეზეა დაყენებული ცალკეული საგნების სწავლება.

ქართული ენისა და ლიტერატურული კითხვის მასწავლებლები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მხატვრული ნაწარმოების ტექსტზე მუშაობას, მოხერხებულად არ იყენებენ სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, ყურადღებით არ ეკიდებიან წინა მასალის ათვისების საქმეს. მოსწავლეებმა ცუდად იციან შესწავლილი მასალა. მასწავლებლები ჟ. სანადირაძე (ოფშკვითის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა) და ლ. კახაია (ტყაჩირის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა) არადამაკმაყოფილებელ მუშაობას აწარმოებენ მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის ასამაღლებლად.

სუსტად არის დაყენებული რუსული ენის სწავლება წყალტუბოს სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში (მასწავლებელი ე. ზღულაძე). გაკვეთილზე არ წარმოებს სალექსიკონო მუშაობა, არ სწორდება წერით ნაშრომებში დაშვებული შეცდომები. მოსწავლეებში წერითი მეტყველების კულტურის დანერგვის საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენს ამავე რაიონის მუხიანის სოფლის ახალგაზრდობის რვაწლიანი სკოლის რუსული ენის მასწავლებელი ა. ჟღენტი.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მათემატიკის სწავლება ქუთაისის რაიონის ოფშკვითისა (მასწავლებელი ნ. ამბროლაძე) და ტყაჩირის (მასწავლებელი გ. სვანიძე) სოფლის ახალგაზრდობის რვაწლიან სკოლებში. ოფშკვითის სკოლის V კლასის მოსწავლეებმა არ იციან ნუმერაცია, რიცხვთა გაყოფადობის ნიშნები და ერთმანე-

თისაგან ვერ არჩევენ ციფრებსა და რიცხვებს. საპროგრამო მასალის დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს აღნიშნული სკოლების VII და VIII კლასების მოსწავლეებმაც.

ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობაში არსებული მეტად სერიოზული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ განათლების განყოფილებები (ამხ. ამხ. ვ. თუმანიშვილი და ვ. ჩოგოვაძე) არაკონკრეტულ, არაოპერატიულ ხელმძღვანელობას უწევენ მათ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა ამხ. ამხ. ვ. თუმანიშვილმა და ვ. ჩოგოვაძემ:

ა) გადაჭრით გააძლიერონ კონტროლი, ხელმძღვანელობა და დახმარება სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისადმი, საკითხები ამ სკოლების მუშაობის შესახებ განსახილველად შეიტანონ პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის სხდომებზე;

ბ) გაატარონ სათანადო ღონისძიებანი სკოლების გათბობა-განათებით უზრუნველყოფის, მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მომსახურების, აგრეთვე ნორმალური მუშაობისათვის საჭირო სხვა პირობების შესაქმნელად;

გ) განსაკუთრებით გააძლიერონ კონტროლი და დახმარება, როგორც დირექტორების, ისე მასწავლებლებისადმი.

2. სკოლის დირექტორებმა:

ა) ზუსტად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებებით სასკოლო მუშაობის გეგმიანობის შესახებ და დაუყოვნებლივ მოულონ ბოლო ამ საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას;

ბ) სისტემატური დახმარება გაუწიონ მასწავლებლებს; განსაკუთრებით ხშირად მოისმინონ დამწყებ მასწავლებელთა გაკვეთილები და გაუწიონ მათ საჭირო პედაგოგიურ-მეთოდური დახმარება;

გ) გადაჭრით გააუმჯობესონ პედაგოგიური საბჭოს მუშაობა, გულდასმით მოამზადონ პედსაბჭოს სხდომებზე განსახილველი საკითხები და უზრუნველყონ მასში თვითეული მასწავლებლის აქტიური მონაწილეობა;

დ) გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი მიმდინარე სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისათვის;

ე) უზრუნველყონ მოსწავლეთა მომარაგება სასწავლო-სახელმძღვანელოებითა და სწავლებისათვის საჭირო სხვა ნივთებით.

ვ) წესრიგში მოიყვანონ სკოლის დოკუმენტაცია და მოსწავლეთა პირადი საქმეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მასწავლებლებმა თავიანთ თავზე გულმოდგინე მუშაობით, გაკვეთილებისათვის სისტემატური მომზადებით უზრუნველყონ მოსწავლეთა ცოდნის ამაღლება.

4. ქუთაისის რაიონის ოფშკვითის და წყალტუბოს რაიონის წყალტუბოს სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორები ვ. კეპულაძე და შ. ჯანელიძე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის განთავისუფლდნენ თანამდებობიდან.

5. საგნის სწავლების დაბალ დონეზე დაყენებისა და მოსწავლეთა სუსტი მომზადების გამო მიეთითოთ: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: ჟ. სანადირაძეს (ოფშკვითის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა), ლ. კახაიას (ტყაჩირის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა); რუსული ენის მასწავლებლებს: ე. ზღულაძეს (წყალტუბოს სოფლის ახალგაზრდობის სკოლა) და ა. ჟღენტს (მუხიანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა); მათემატიკის მასწავლებლებს: გ. სვანიძეს (ტყაჩირის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა) და ნ. ამბროლაძეს (ოფშკვითის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა).

6. ეს ბრძანება განხილულ იქნეს ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების სოფლის ახალგაზრდობის რვაწლიანი სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და გატარდეს სათანადო ღონისძიებანი სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

7. ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა (ამხ. ვ. თუმანიშვილმა და ვ. ჩოგოვაძემ) 1956 წლის 15 თებერვლამდე წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს წერილობითი ანგარიში ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 30 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 23

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 5 იანვარი

საქართველოს სსრ რაიონების სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში პირველი რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ შედეგებისა და მეორე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ 1954/55 სასწავლო წელს პირველი რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ ჩატარებამ გვიჩვენა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა დიდ ინტერესს და მიდრეკილებას იჩენს სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების შესწავლისადმი და აწარმოებს სერიოზულ მუშაობას.

ამ მხრივ ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა ზოგიერთმა სკოლამ და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებამ.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო საქართველოს 21 რაიონის 135 რვაწლიანი, საშუალო სკოლისა და 8 სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულების 195 ნორჩ ნატურალისტთა წრემ. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 1244 ექსპონატი.

რესპუბლიკურ კონკურსზე წარმოდგენილი მასალებით გამოირჩეოდნენ: აჭარის ასსრ (წარმოადგინა 300 ექსპონატი), ჩოხატაურის რაიონის (100 ექსპონატი), გორის რაიონის (109 ექსპონატი), ლანჩხუთის რაიონის (110 ექსპონატი), ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური (400 ექსპონატი) და ა. შ.

კონკურსში მონაწილე სკოლებიდან და სკოლისგარეშე დაწესებულებებიდან გამოირჩეოდნენ: ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური (დირექტორი შ. მანგიაშვილი), გორის რაიონის მეჯვრისხევის საშუალო სკოლა (დირექტორი ს. ბეროშვილი, იგივე ბიოლოგიის მასწავლებელი), მეჯვრისხევის რვაწლიანი (დირექტორი ქ. ხომასურიძე), ჩოხატაურის რაიონის დაბლაციხის საშუალო (დი-

რექტორი გ. ბოცვაძე), ხიდისთავის (დირექტორი ა. კალანდაძე) სკოლები, ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო ტურისტული სადგური (დირექტორი მ. ერისთავი), პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე (ბიოლოგიის კაბინეტის გამგე თ. ჯიქიძე), ქობულეთის რაიონის ხუცუბნის (დირექტორი ს. მეგრელიშვილი), ბათუმის პირველი (ბიოლოგიის მასწავლებელი ქ. ინწკირველი), ქ. თბილისის 71-ე (ბიოლოგის მასწავლებელი ა. გოგუაძე), ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის (ბიოლოგიის მასწავლებელი ა. ნიკოლაიშვილი), სუფსის (დირექტორი ნ. ტუღუში), საგარეჯოს (დირექტორი ნ. მარდანია) საშუალო სკოლები.

ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩ მეცხოველეთა წრის წევრმა ო. ასთავიშვილმა გამოზარდა კვიცი „ქურანა"; ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩ მეაბრეშუმეთა წრის წევრმა ა. ბუკიამ ერთი გრამი აბრეშუმის გრენიდან, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 2,7 კილოგრამისა მიიღო 5,2 კილოგრამი მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკი; ქ. თბილისის 71-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე ჯ. სებუამ ერთი დედაკურდღლიდან 4 თვის ასაკამდე გამოზარდა 28 ბაჭია; გორის რაიონის მეჯვრისხევის საშუალო სკოლის მოსწავლე ი. ილიაურმა სასკოლო მიწის ნაკვეთზე მოიყვანა ყურძნის უხვი მოსავალი, ჰექტარზე გადაანგარიშებით 220 ცენტნერი; ბათუმის რაიონის ხუცუბნის ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე თ. გოგიტიძემ სასკოლო მიწის ნაკვეთზე გამოიყვანა 15.000 ძირი ტრიფოლიატის ნათესარი და დაამყნო 60 ძირი ლიმონი; ლანჩხუთის რაიონის სუფსის საშუალო სკოლის მოსწავლე რ. ვასაძემ გამოიყვანა ლიმონის, ზეთისხილისა და ფეი-ხოიას ნერგები და მიიღო მოსავალი; ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩ მემინდვრეთა წრის წევრმა გ. როინიშვილმა საცდელი ნაკვეთის 50 კვ. მეტრ ფართობზე დათესა და მოიყვანა საქართველოს სასელექციო სადგურის მიერ გამოყვანილი ქერის ახალი ჯიში „ქართული", ჰექტარზე გადაანგარიშებით 30 ცენტნერი.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, პირველი რესპუბლიკური კონკურსის ჩატარებაში სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს ჰქონდა ადგილი: თვით ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურმა სადგურმა ვერ უზრუნველჰყო რაიონებიდან მიღებული ცოცხალი და სხვა სახის ექსპონატების სათანადოდ მოვლა და შენახვა.

ბევრი ექსპონატი არ იყო გამოფენისათვის შესაფერისი და სა-ოანადოდ გაფორმებული. თითოეული ექსპონატის შესახებ არ იყო წარმოდგენილი აღწერილობანი (მუშაობის სახეები, მეთოდები; ექსპონატის ზუსტი დასახელება, ფართობი, თარიღი; მოსავლის გადაანგარიშება ჰექტარებში).

არადამაკმაყოფილებლად იმუშავეს: აფხაზეთის ასსრ, ცაგერის, ჭიათურის, ზუგდიდისა და ზოგიერთმა სხვა რაიონებმა. მათ მიერ წარმოდგენილი მასალები გაუფორმებელი და დაბალი ხარისხისა იყო.

სრულიად არ მიუღიათ კონკურსში მონაწილეობა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს, წითელწყაროს, თელავის, ხულოს, ახმეტის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ყვარელის, გურჯაანის, თიანეთის, ყაზბეგის, მცხეთის, კასპის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის, ახალ-ქალაქის, ასპინძის, ახალციხის, ადიგენის, წალკის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, გარდაბანის, მარნეულის, დმანისის, თეთრიწყაროს, ხობის, წალენჯიხის, თერჯოლის, ქუთაისის, ცხაკაიას, მახარაძის, ზეს-ტაფონის, ორჯონიკიძის, გეგეჭკორის, ამბროლაურის, ვანის, ონის, მესტიის, წულუკიძისა და ლენტეხის რაიონებს.

გამომდინარე აქედან

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. პირველი რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი 120 მოსწავლის სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოების შესახებ დამტკიცდეს (თან ერთვის).

2. კონკურსში აქტიური მონაწილეობისა და ამ მიმართულებით საუკეთესო მუშაობისათვის დაჯილდოებულ იქნან ფასიანი საჩუქ-რებითა და სიგელებით:

1) **ბეროშვილი ს.** — გორის რაიონის მეჯვრისხევის საშუალო სკოლის დირექტორი, ბიოლოგიის მასწავლებელი;

2) **გოგუაძე ა.** — ქ. თბილისის 71-ე საშუალო სკოლის ბიოლო-გიის მასწავლებელი;

3) **ნიკოლაიშვილი ა.** — ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის საშუ-ალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;

4) **ხომასურიძე მ.** — გორის რაიონის მეჯვრისხევის რვაწლიანი სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;

5) **ტულუში ნ.** — ლანჩხუთის რაიონის სუფსის საშუალო სკოლის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოებულ იქნან სიგელებით:

1) **ჯაში ი.** — ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის საშუალო სკოლის დირექტორი;

2) **მამისაშვილი ე.** — გორის რაიონის ქახვრელის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;

3) **სუხიტაშვილი ვ.** — გორის რაიონის კარალეთის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;

4) **ქარცივაძე ა.** — ბათუმის მე-16 საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;

5) **ჭყონია შ.** — ბათუმის პიონერთა პარკის ნორჩ ნატურალისტთა წრის ხელმძღვანელი;

6) **ძნელაძე ე.** — ჩოხატაურის რაიონის საჭამიასერის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;

7) **კალანდაძე ა.** — ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის საშუალო სკოლის დირექტორი;

8) **ბოცვაძე გ.** — ჩოხატაურის რაიონის დაბლაციხის საშუალო სკოლის დირექტორი;

9) **კუტუბიძე ე.** — ჩოხატაურის რაიონის დაბლაციხის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;

10) **თავართქილაძე ნ.** — ჩოხატაურის რაიონის დაბლაციხის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;

11) **ქარცივაძე ა.** — ბათუმის მესამე საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

12) **ტეროგანოვი გ.** — ბათუმის V რუსული საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

13) **ინწკირველი ქ.** — ბათუმის პირველი საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;

14) **გოგიტაური ნ.** — დუშეთის რაიონის ჭოპორტის რვაწლიანი სკოლის დირექტორი;

15) **ჭკუასელი ნ.** — ჩოხატაურის რაიონის საჭამიასერის საშუალო სკოლის დირექტორი;

16) **ჩუბინიძე ნ.** — გორის რაიონის პედაგოგიური კაბინეტის გამგე;

17) **გიორგაძე ი.** — ქობულეთის რაიონის პედაგოგიური კაბინეტის გამგე;

18) **კერესელიძე ბ.** — გორის რაიონის ვარიანის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოებულ იქნას აგრეთვე სიგელებით:

ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტი, ქ. თბილისის სტალინისა და სამტრედიის რაიონების პიონერთა სახლები და ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო ტურისტული სადგური, ქ. თბილისის მე-13, 71-ე, 65-ე, 44-ე და 41-ე, გორის რაიონის მეჯვრისხევის, კარალეთის, ბათუმის პირველი, მესამე, ქობულეთის რაიონის ხუცუბნის, ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის, სუფსის, ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის, დაბლაციხის, საჭამიასერის, საგარეჯოს რაიონის საგარეჯოს, მანავის, კაჭრეთის, თბილისის რაიონის ავჭალის რუსული, ტყიბულის რაიონის კურსების, ქუთაისის 21-ე საშუალო, გორის რაიონის მეჯვრისხევის, ბათუმის რაიონის განთიადის, დუშეთის რაიონის ჭოპორტის რვაწლიანი სკოლების, ბათუმის პიონერთა პარკის, ქობულეთის პიონერთა სახლისა და კოჯრის მე-9 საბავშვო სახლის ნორჩ ნატურალისტთა წრეები.

3. 1956 წლის 1/I-დან 1956 წლის 1/XI-მდე გამოცხადდეს მეორე რესპუბლიკური კონკურსი „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“.

4. ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის მიერ წარმოდგენილი დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

5. მეორე რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1) ბ ურ ჭ ულ ა ძ ე მ ა რ ი ა მ — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე — თავმჯდომარე;

2) ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე გ ი ო რ გ ი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი — მოადგილე;

3) ქ ა ჯ ა ი ა ო მ ა რ — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერთა შორის მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე;

4) უ კ ლ ე ბ ა კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ინსპექციის უფროსი;

5) დარსალიაქეთევან — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ინსპექტორი;

6) მათიაშვილი თამარ — ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგე;

7) მანგიაშვილი შალვა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორი;

8) გამრეკელი სოფიო — საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი;

9) ჩუბინიძე შალვა — პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი;

10) გოგიჩაიშვილი ბენიამინ — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორის მოადგილე (მდივანი);

11) ჯიქიძე თამარ — თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის გამგე;

6. მეორე რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ საორგანიზაციო კომიტეტმა უხელმძღვანელოს კონკურსის ჩატარებას და პერიოდულად წარმოუდგინოს მასალები სამინისტროს კონკურსისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

7. ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორმა ამხ. შ. მანგიაშვილმა:

ა) კონკურსისათვის მზადების საქმეში დახმარების გასაწევად სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მიავლინოს სპეციალისტები;

ბ) ნატურალისტთა წრეების ხელმძღვანელებს გაუწიოს ყოველდღიური დახმარება და კონსულტაცია;

გ) მეთოდური მითითებებითა და დიდაქტიკური მასალით დახმარება გაუწიოს სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებს;

დ) უხელმძღვანელოს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის რესპუბლიკის სკოლებიდან 1956 წლის გამოფენის კანდიდატების გამოვლინებისა და მათი დოკუმენტების გაფორმების საქმეს.

8. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააცნონ მასწავლებლებს პირველი რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ შედეგები და მეორე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების პირობები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) კონკურსის ჩატარებისათვის იხელმძღვანელონ დამტკიცებული დებულებით „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“;

გ) გამოავლინონ საუკეთესო სკოლები, სკოლისგარეშე დაწესებულებები, წრეები და ნორჩი ნატურალისტები 1956 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის.

9. საშუალო, რვაწლიანი და დაწყებითი სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა):

ა) განიხილონ პირველი რესპუბლიკური კონკურსის შედეგები და გააცნონ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს მეორე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების პირობები;

ბ) ჩამოაყალიბონ ყველა სკოლაში ნორჩ ნატურალისტთა წრეები და შეუქმნან პირობები მათ ნორმალური მუშაობისათვის;

გ) სანიმუშოდ მოაწყონ სასკოლო მიწის ნაკვეთები და ცოცხალი კუთხეები.

10. ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ნორჩ ნატურალისტთა სადგურების დირექტორებმა, ქ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორმა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა დროულად ჩაატარონ მოსამზადებელი მუშაობა მეორე რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ:

ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის 1956 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს კონკურსის ჩატარებისა და საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მასალების დოკუმენტაციისათვის საჭირო რაოდენობის თანხა.

12. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურს გამოუყოს 200 კგ. საბეჭდი ქაღალდი, აქვარიუმები, ჭურჭელი სველი პრეპარატებისათვის, ფორმალინი, სპირტი, მინერალური სასუქები და სხვა საჭირო მასალა.

13. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქციებმა გააშუქონ კონკურსის მიმდინარეობა.

14. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ ხელმძღვანელოს კონკურსის მომზადებისა და ჩატარების საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ზ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ი ა

პირველ რესპუბლიკურ კონკურსში „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ მონაწილე იმ ნორჩი ნატურალისტებისა, რომლებიც დაჯილდოებული არიან ქების სიგელებით.

1. ე ლ ი ა უ რ ი ი ლ ი ა — გორის რაიონის მეჯვრისხევის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, სასკოლო მიწის ნაკვეთზე მოიყვანა „მუხრანული ალიგოტის“ ჯიშის ყურძნის უხვი მოსავალი, ჰექტარზე გადაანგარიშებით 200 ცენტნერი;
2. ნ ა მ გ ა ლ ა ს უ რ ი ნ ა ნ უ ლ ი — გორის რაიონის მეჯვრისხევის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, სასკოლო მიწის ნაკვეთზე მოიყვანა ვაშლის უხვი მოსავალი, ჰექტარზე გადაანგარიშებით 70 ცენტნერი;
3. ა ი ვ ა ზ ო ვ ი თ ა მ ა რ — გორის რაიონის მეჯვრისხევის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, ნეშომპალიან ქოთნებში მოიყვანა პამიდვრის უხვი მოსავალი , ჰექტარზე გადაანგარიშებით 600 ცენტნერი;
4. გ ი ნ ტ უ რ ი ე თ ე რ ი — გორის რაიონის მეჯვრისხევის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, კვადრატულ-ბუდობრივი თესვით მიიღო სიმინდის მაღალი მოსავალი, ჰექტარზე გადაანგარიშებით 82,5 ცენტნერი;
5. ბ ი ბ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ჯ ა ნ ს უ ღ ი — გორის რაიონის მეჯვრისხევის საშუალაო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, წარმოადგინა სტალინისა და მიჩურინის თვითნაკეთი ბიუსტები;
6. ჭ ე ლ ი ძ ე გ. — გორის რაიონის კარალეთის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, სკოლის მიწის ნაკვეთზე აგროტექნიკური ღონისძიების გატარებით მოიყვანა 25 კილოგრამიანი გოგრა;
7. ჭ ა ლ ი ძ ე ჯ. — გორის რაიონის კარალეთის საშუალო სკოლის

ნორჩი ნატურალისტი, სასკოლო მიწის ნაკვეთზე აგროტექ-
ნიკური ღონისძიების გატარებით მოიყვანა 25 კილოგრამი-
ნი გოგრა;

8. ჯ ა ბ ა ხ ი ძ ე ც ა რ ო — გორის რაიონის კარალეთის საშუალო
სკოლის ნორჩი ნატურალისტი, სასკოლო მიწის ნაკვეთზე
მოიყვანა კარტოფილის მაღალი მოსავალი, ჰექტარზე გა-
დაანგარიშებით 80 ცენტნერი;

9. ბ ი ბ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ე ლ ე ნ ე — გორის რაიონის კარალეთის
საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, სასკოლო მიწის
ნაკვეთზე მოიყვანა კარტოფილის მაღალი მოსავალი, ჰექ-
ტარზე გადაანგარიშებით 80 ცენტნერი;

10. მ ა ჭ ა რ ა შ ვ ი ლ ი გ. — გორის რაიონის ზეღდულეთის სა-
შუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, სასკოლო მიწის ნაკ-
ვეთის 2 კვ. მეტრ ფართობზე მიიღო 3,3 კგ. თეთრი დოლის
ხორბალი, ჰექტარზე გადაანგარიშებით 160 ცენტნერი;

11. ნ ა ს ყ ი დ ა შ ვ ი ლ ი ი. — გორის რაიონის ზეღდულეთის
საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, სასკოლო მიწის
ნაკვეთის 2 კვ. მეტრ ფართობზე მიიღო 4 კგ. გაზაფხულის
შავფხა ხორბალი, ჰექტარზე 'გადაანგარიშებით 400 ცენ-
ტნერი;

12. კ ო ჩ უ ა შ ვ ი ლ ი თ. — გორის რაიონის ხელთუბნის რვაწლია-
ნი სკოლის ნორჩი ნატურალისტი, გამოიყვანა „შავყურა
თეთრი ანგორული“ ახალი ჯიშის კურდღელი;

13. ტ ე რ მ ა კ ო ზ ა შ ვ ი ლ ი ნ. — გორის რაიონის ხელთუბნის
რვაწლიანი სკოლის ნორჩი ნატურალისტი, გამოიყვანა ახა-
ლი ჯიშის „შავყურა თეთრი ანგორული“ კურდღელი;

14. ე ლ ა ძ ე ჯ. — ტყიბულის რაიონის კურსების საშუალო სკო-
ლის ნორჩი ნატურალისტი, შეაგროვა რაიონისათვის დამა-
ხასიათებელი მინერალები;

15. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი თ. — ქ. ქუთაისის მე-18 საშუალო სკოლის
ნორჩი ნატურალისტი, წარმოადგინა რეფერატი: „მუშაობა
ჩვენი სკოლის მიწის ნაკვეთზე“;

16. კ ე ნ ჭ ო შ ვ ი ლ ი ც. — ჭიათურის რაიონის თაბაგრების რვაწ-
ლიანი სკოლის ნორჩი ნატურალისტი, ცვილისაგან დაამზადა
ყურძნის მტევნები და სიმინდის ტაროები;

17. ა ლ ა დ ა შ ვ ი ლ ი ნ. — ქ. თბილისის 65-ე საშუალო სკოლის

ნორჩი ნატურალისტი; გამოიყვანა და გაამრავლა ოთახის ყვავილები;

18. მ ა ჩ ა ლ ა ძ ე თ. — სტალინის სახელობის ქ. თბილისის პირველი საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, გაიტანა ფრინველთა ფიტულები;

19. ა ვ ა ქ ო ვ ი ე მ ა — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი ნატურალისტი, შეაგროვა პარკოსან მავნებელთა კოლექციები და თეთრულისაგან დაიცვა კომბოსტო;

20. ა ხ უ ნ დ ო ვ ი გ ა ს ა ნ — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი ენტომოლოგი, დაამზადა მწერების ბადე და საგუდავი;

21. ნ ა ბ ი ე ვ ი ა ლ ი კ — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი ენტომოლოგი, დაამზადა მავნე მწერების საწინააღმდეგო შხამთა კოლექცია და გაატარა ხეხილისათვის პროფილაქტიკური ღონისძიებანი;

22. დ ე კ ა ნ ო ს ი ძ ე მ უ რ ა დ ი — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მებაღე, დაამზადა ბლის სველი პრეპარატი;

23. ა ი ვ ა ზ ო ვ ი ა. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მებაღე, დაამზადა მოცხრის სველი პრეპარატი;

24. ბ უ კ ი ა ა. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის მეაბრეშუმე, წრის წევრებთან ერთად გრენიდან ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.7 კგ.-სა მიიღო 5.2 კგ. მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი;

25. ე დ ი ბ ე რ ი ძ ე კ. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი ბოტანიკოსი, დააყენა ცდა: „ფიტოციდების მოქმედება ლპობის გამომწვევ ბაქტერიებზე“;

26. კ ო მ ა ხ ი ძ ე გ. — ბათუმის რაიონის განთიადის რვაწლიანი სკოლის ნორჩი ნატურალისტი, კოლმეურნეობაში დაამყნო 10.000 ძირი ციტრუსოვანი ნერგი და არდადეგების პერიოდში გამოიმუშავა 95 შ/დღე;

27. გ ო გ ი ტ ი ძ ე თ. — ბათუმის რაიონის ხუცუბნის ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, სასკო-

ლო მიწის ნაკვეთზე გამოიყვანა 15.000 ძირი ტრიფოლიატა, ნათესარი და 60 ძირი ლიმონის ნამყენი ნერგი;

28. ვ ა ს ა ძ ე რ.— ლანჩხუთის რაიონის სუფსის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, გამოიყვანა და საუკეთესოდ მოუსტეფეი-ხოიას, ზეთისხილისა და ლიმონის ნერგებს;

29. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი მ.— ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მეტეოროლოგი, დაამზადა და გამოფენაზე წარმოადგინა მეტეოროლოგიური სადგურის მოდელი;

30. რ ო ი ნ ი შ ვ ი ლ ი ო.— ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მემინდვრე, სასწავლო-საცდელი ნაკვეთის 50 კვ. მეტრ ფართობზე დათესა და მოიყვანა ქერის ახალი ჯიში —„ქართული“, ჰექტარზე გადაანგარიშებით 30 ცენტნერი;

31. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი გ ო გ ო ნ ა — სოხუმის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, დაამზადა გარეული ცხოველების (კვერნისა და სხვ.) ფიტულები;

32. ნ ა კ ა ი ძ ე ლ.— ქ. ბათუმის პირველი საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, დაამზადა შავ ზღვაში გავრცელებული თევზების სველი პრეპარატები;

33. მ დ ი ნ ა რ ა ძ ე ნ.—ქ. ბათუმის პიონერთა პარკის ნორჩი ნატურალისტი, დაამზადა ფრინველების ფიტულები;

34. მ ა რ გ ვ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ჯ.— ქ. ქუთაისის მეხუთე საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, პლასტილინისაგან დაამზადა ადამიანის შინაგანი ორგანოები;

35. ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე ლ.— ქ. ბათუმის პიონერთა პარკის ნორჩი ნატურალისტი, გამოზარდა იშვიათი ჯიშის მტრედი „დრაკონი“;

36. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი ი. — თბილისის 71-ე საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, ერთი დედა კურდღლიდან 4 თვის ასაკამდე გამოზარდა 26 ბაჭია;

37. ს ე ბ უ ა ჯ.— ქ. თბილისის 71-ე საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, ერთი დედა კურდღლიდან 4 თვის ასაკამდე გამოზარდა 28 ბაჭია;

38. ს ე ფ ე რ თ ე ლ ა ძ ე ა.— ქ. თბილისის 71-ე საშუალო სკოლის

ნორჩი ნატურალისტი, ერთი დედა კურდღლიდან 4 თვის ასაკამდე გამოზარდა 27 ბაჭია;

39. ჩაჩანაშვილი გ. — ქ. თბილისის 71-ე საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი; ერთი დედა კურდღლიდან გამოზარდა 26 ბაჭია;

40. ასთავიშვილი ო. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მეცხოველე, გამოზარდა კვიცი „ქურანა";

41. ქაჯაია ო. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მეცხოველე, გამოზარდა საფურე ხბო „ნუკრია";

42. ცხოვრებაძე რ. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მეფრინველე, გარეული ფრინველებისათვის დაამზადა სახლ-საკვებურები;

43. კრასჩიანი ს. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მეფრინველე, ფრინველების თავის ქალისა და კიდურებისაგან დაამზადა დიდაქტიკური მასალა;

44. ჯინჯიხაშვილი დ. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მეფრინველე, სისტემატური დაკვირვების შედეგად დაადგინა ქათმების მაქსიმალური კვერცხმდებლობის პერიოდი და შეადგინა ილუსტრირებული დიაგრამა;

45. ზაუტაშვილი გ. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მეფრინველე, კვერცხებზე სამეურნეო ღირებულების ცდის დაყენებით დაადგინა კვერცხების საღად შენახვის მაქსიმალური დრო. საფრინველეში მოაწყო სადეზინფექციო ყუთები;

46. კუჭავა თ. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მეფრინველე, გამოზარდა 30 მტრედი, მათში გამოიმუშავა პირობითი რეფლექსი, გამოუთიშა ფრენის სურვილი;

47. ანუაშვილი ა. — საგარეჯოს საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, წარმოადგინა ნაშრომი „საგარეჯოს საინკუბატორო სადგური";

48. კოხტაშვილი მ. — საგარეჯოს საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, წარმოადგინა ალბომი: „სასკოლო ნაკვეთზე ჩატარებული ცდების შედეგები";

49. როსტიაშვილი გ. — საგარეჯოს საშუალო სკოლის ნორჩი

ნატურალისტი, წარმოადგინა ყურძნის ჯიშების სველი პრეპარატები;

50. გ ზ ი რ ი შ ვ ი ლ ი ქ. — საგარეჯოს საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, წარმოადგინა ყურძნის ჯიშების სველ-ბ-ბ-ბ

61. შ ა ლ ი კ ი ა ნ ი რ. — ქ. თბილისის 71-ე საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, დაამზადა კურდღლისა და ბაჭიების ფიტულები;

62. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ი. — თბილისის 71-ე საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, დაამზადა კურდღლისა და ბაჭიების ფიტულები;

63. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი ი. — ქ. თბილისის 71-ე საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, შეადგინა მეკურდღლეთა წრის ამსახველი დღიურები;

64. მ ა ხ ა რ ა ძ ე მ. — ჩოხატაურის რაიონის საჭამიასერის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი; სკოლის ეზოში დარგო 40 ძირი კრიფტომერია, მოაწყო დეკორატიული განყოფილება — ყვავილნარი;

65. ზ ა ქ ა რ ი ა შ ვ ი ლ ი ნ. — ჩოხატაურის რაიონის საჭამიასერის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, სკოლის ეზოში დარგო 40 ძირი კრიფტომერია, მოაწყო დეკორატიული განყოფილება — ყვავილნარი;

66. ხ უ ნ დ ა ძ ე ლ. — ჩოხატაურის რაიონის საჭამიასერის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, სკოლის ეზოში დარგო 40 ძირი კრიფტომერია, მოაწყო დეკორატიული განყოფილება — ყვავილნარი;

67. ბ ე ბ უ კ ი შ ვ ი ლ ი ბ. — ჩოხატაურის რაიონის საჭამიასერის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, სკოლის ეზოში დარგო 40 ძირი კრიფტომერია, მოაწყო დეკორატიული განყოფილება — ყვავილნარი;

68. ჭ კ უ ა ს ე ლ ი ვ. — ჩოხატაურის რაიონის საჭამიასერის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, ორი წლის განმავლობაში ერთი წყვილი კურდღლიდან მიიღო 19 თაობა და გამოზარდა 69 ბაჭია;

69. გ ა წ ე რ ი ლ ი ა ნ. — თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩი ნატურალისტი, წარმოადგინა კარგი ხარისხის ხორბლის ჯიშები;

70. ქ უ რ თ ი შ ვ ი ლ ი მ. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მეკურდღლე, ერთ დედა კურდღელზე გამოზარდა 28 ბაჭია;

71. დ ო ლ ი ძ ე გ. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ-

გურის ნორჩი მეკურდღლე, დაამზადა ბაჭიების შინაგანი ორგანოების სველი პრეპარატი;

72. წ ე რ ე თ ე ლ ი ნ. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მეკურდღლე, სამი დედა კურდღლისგან გამოზარდა 49 ბაჭია, გააკეთა კურდღლების სანიმუშო დავთარი და საკვების კოლექცია;

73. ტ უ რ ი ა შ ვ ი ლ ი ე. — დუშეთის რაიონის სოფელ ჭოპორტის რვაწლიანი სკოლის ნორჩი ნატურალისტი, გამოიყვანა ადგილობრივ პირობებთან შეგუებული კარალიოკი და მიიღო მაღალი მოსავალი;

74. ბ ა ც ა ნ ა ძ ე ე. — კაჭრეთის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, მოუარა სასკოლო მიწის ნაკვეთზე დარგულ „რქაწითელის“ ჯიშის ვაზს და მიიღო მაღალი მოსავალი;

75. ჯ ი ქ უ რ ი შ ვ ი ლ ი მ. — კაჭრეთის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, მოუარა სასკოლო მიწის ნაკვეთზე დარგულ „რქაწითელის“ ვაზს და მიიღო მაღალი მოსავალი;

76. ყ ი ფ ი ა ნ ი ი. — ქ. ბათუმის მე-9 საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, კალმიდან ლიმონი გამოიყვანა და მიიღო ნაყოფი;

77. ი ვ ა ნ ო ვ ი თ. — ქ. ბათუმის მესამე რუსული საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, დაამზადა კატის ჩონჩხი;

78. გ ო რ ო ზ ი ა ლ. — ჩაქვის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, მოუარა № 1 და № 2 ქართულ ჩაის ბუჩქებს და მიიღო მაღალი მოსავალი;

79. კ ა ი კ ა ც ი შ ვ ი ლ ი ა. — ქობულეთის რაიონის ქვედასამების რვაწლიანი სკოლის ნორჩი ნატურალისტი, გამოიყვანა ფორთოხლის ნერგები;

80. ლ ო მ ტ ე ვ ი ს. — სოხუმის პუშკინის სახელობის II რუსული საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, შეადგინა ანატომიური ალბომი;

81. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე რ. — თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის მეყვავილე, გაამრავლა და მოუარა ქოთნის ყვავილებს;

82. რ ო ი ნ ი შ ვ ი ლ ი გ. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მემინდვრე, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთის 50 კვ. მეტრზე დათესა და გამოიყვანა ქერის ახა-

ლი ჯიში — „ქართული“, ჰექტარზე გადაანგარიშებით 30 ცენტნერი;

83. მ ა მ უ ჩ ი შ ვ ი ლ ი დ. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მეთესლე, გამოიყვანა და შეაგროვა 5 კგ. სხვადასხვა სახის თესლი, რითაც დახმარება გაუწია რესპუბლიკის სკოლებსა და პიონერთა სახლებს;

84. მ ე ხ ა შ ი შ ვ ი ლ ი ნ. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მეთესლე, გამოიყვანა და შეაგროვა 5,6 კგ. სხვადასხვა სახის თესლი, რითაც დახმარება გაუწია რესპუბლიკის სკოლებსა და პიონერთა სახლებს;

85. ც ი რ ი კ ი ძ ე ი. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მებოსტნე. მიიღო პარკოსნების ორი მოსავალი;

86. კ ო ბ ა ხ ი ძ ე ნ. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მებოსტნე, მიიღო პარკოსნების ორი მოსავალი;

87. კ ა ზ ა რ ი ა ნ ი პ. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მებაღე, დაამზადა თეთრი ხლის (დროგანას) სველი პრეპარატი;

88. კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი დ. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მეტყევე, ნატურალისტებთან ერთად კარგად მოუარა ელდარის ფიჭვსა და კვიპაროსს;

89. მ ა გ რ ა ქ ვ ე ლ ი ძ ე მ. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მეაბრეშუმე, 1 გრ. გრენიდან მიიღო 5.2 კგ. აბრეშუმის პარკი. დაამზადა თევზის სველი პრეპარატი;

90. ა ფ შ ი ლ ა ვ ა ვ. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი ბოტანიკოსი, წარმოადგინა პირშუშხას გარემოში დაკონსერვებული ატამი;

91. ვ ა შ ა კ ი ძ ე ვ. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მეკურდღლე, ორი დედა კურდღლიდან გამოზარდა 34 ბაჭია და დაამზადა კურდღლების ფიტულები;

92. ხ ე ჩ უ მ ო ვ ი ე. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მეყვავილე, დაამზადა ბათუმის ბოტანიკური ბაღის მცენარეთა ჰერბარიუმი;

93. ხ უ ბ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ჯ. — გორის რაიონის ქვეშის რვაწლიანი სკოლის ნორჩი ნატურალისტი, 8 კვ. მ. ფართობზე მოიყვანა

35 კგ. ფოთლოვანი კომბოსტო, ჰექტარზე გადაანგარიშებით 400 ცენტნერი;

94. ცეცხლაძე ც. — ქობულეთის პირველი საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე, წარმოადგინა ექსპონატები ვეგეტატიური გამრავლების შესახებ;

95. კომპანეცი ვ. — ქობულეთის მეორე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე, წარმოადგინა სამკურნალო მცენარეთა ჰერბარიუმი;

96. ბოლქვაძე ე. — ქობულეთის რაიონის კვირიკეს რვაწლიანი სკოლის VII კლასის მოსწავლე, გამოიყვანა ჩაის ბუჩქის ნერგები;

97. მეგრელიძე ე. — ხუცუბნის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე, გამოიყვანა ქართული ჯიშის ლიმონი;

98. მჟავანაძე ნ. — ქობულეთის რაიონის ხუცუბნის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე, გამოიყვანა ვაშინგტონის ჯიშის ფორთოხალი;

99. ჯაფარიძე გ. — ქობულეთის რაიონის ხუცუბნის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე, გამოიყვანა მანდარინის ნერგი;

100. აბდულიანი ა. — ქ. ბათუმის მესამე რუსული საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, წარმოადგინა აბრეშუმის ჭიის განვითარების სტადიები;

101. ელენტი ბ. — ლანჩხუთის რაიონის სუფსის საშუალო სკოლის VI კლასის ნორჩი ნატურალისტი, გამოიყვანა ნარინჯი;

102. მემარნე ა. — ქობულეთის რაიონის წყავროკის რვაწლიანი სკოლის VII კლასის ნორჩი ნატურალისტი, წარმოადგინა ფრინველებზე დაკვირვების შედეგები;

103. ვედერნიკოვი ო. — ოჩამჩირის რაიონის I რუსული საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, შეადგინა ზღვის ცხოველთა კოლექცია;

104. დომბოლოკიანი ვ. — გაგრის რაიონის ხეივნის II რუსული საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, შეადგინა ზღვისა და ხმელეთის ცხოველთა ნიჟარების კოლექცია;

105. შაფათავა ქ. — თბილისის მე-14 საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, დაამზადა აუქსანომეტრი;

106. ესიაშვილი ნ. — გორის რაიონის ნიქოზის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, შეადგინა ნიქოზის ტერიტორიაზე გავრცელებულ მცენარეთა ჰერბარიუმი;

107. ჯიჯიშვილი ს. — გორის რაიონის ნიქოზის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, შეადგინა ნიქოზის ტერიტორიაზე გავრცელებულ მცენარეთა ჰერბარიუმი;

108. კოხრეიძე ზ. — ქ. ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, შეადგინა მეტალთა კოლექცია;

109. თევდორაძე ლ. — ქ. ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, შეადგინა მიწის ქანების კოლექცია;

110. მუნჯიშვილი დ. — გორის რაიონის კარალეთის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, სასკოლო მიწის ნაკვეთზე მოიყვანა პამიდვრის „კრასნოდარის" უხვი მოსავალი;

111. კუთარაშვილი ე. — გორის რაიონის ზეღდულეთის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, სასკოლო მიწის ნაკვეთზე მიიღო უხვი მოსავალი, ჰექტარზე გადაანგარიშებით 165 ცენტნერი;

112. გოგიძე ნ. — ცაგერის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, შეადგინა ცაგერის რაიონში გავრცელებულ სამკურნალო მცენარეთა ჰერბარიუმი;

113. ანასტასიავ. — ქ. ქუთაისის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, შეადგინა „კავკასიისა და მცირე კავკასიის მთების მცენარეთა" ჰერბარიუმი;

114. ჩუხრუკიძე ვ. — გორის რაიონის კარალეთის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, სასკოლო მიწის ნაკვეთზე მიიღო ხახვის უხვი მოსავალი, ჰექტარზე გადაანგარიშებით 170 ცენტნერი;

115. ჩუხრუკიძე გ. — გორის რაიონის კარალეთის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტი, სასკოლო მიწის ნაკვეთზე მიიღო ხახვის უხვი მოსავალი, ჰექტარზე გადაანგარიშებით 170 ცენტნერი;

116. კასრაძე ნ. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მეყვავილე, დარგო და გაახარა 150 ძირი ხრიზანტემა, ვეგეტატური წესით გაამრავლა 31 ცალი ქოთნის ყვავილი;

117. ჩხეტიანი გ. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩი მეყვავილე, დარგო და გაახარა 200 ძირი თურქული მიხაკი და დააყენა ცდა კალმების დაფესვიანებაზე;

118. ცერცვაძე მ. — გორის რაიონის ზეღდულეთის საშუალო

სკოლის ნორჩი ნატურალისტი, სასკოლო მიწის ნაკვეთის 10 კვ. მეტრ ფართობზე მიიღო 100 კგ. სიმინდი, ჰექტარზე გადაანგარიშებით 100 ცენტნერი;

119. გ ი გ ა უ რ ი გ. — გორის რაიონის ზეღდულეთის სკოლის ნორჩი ნატურალისტი, სასკოლო მიწის ნაკვეთის 10 კვ. მეტრ ფართობზე მიიღო 100 კგ. სიმინდი, ჰექტარზე გადაანგარიშებით 100 ცენტნერი;

120. ხ უ ბ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ნ. — გორის რაიონის ქვეშის რვაწლიანი სკოლის ნორჩი ნატურალისტი, სასკოლო მიწის ნაკვეთის 42 კვ. მეტრ ფართობზე მიიღო 40 კგ. სოია, ჰექტარზე გადაანგარიშებით 10 ცენტნერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი: გ. ...
1956 წლის 6 იანვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მეორე რესპუბლიკური კონკურსისა „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“

ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური 1956 წლის იანვრიდან 1956 წლის პირველ ნოემბრამდე ატარებს მეორე რესპუბლიკურ კონკურსს—„ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“

I. კონკურსის მიზანი

საბჭოთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინაშე მდგომი ამოცანის გადასაწყვეტად, რაც პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებას ითვალისწინებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონკურსს — „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“, რომლის მიზანია:

1. საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლების პრაქტიკულ საქმიანობასთან მტკიცე დაკავშირება.

2. სოფლის მეურნეობის საფუძვლებისა და მოწინავე საბჭოთა აგრობიოლოგიის მიღწევათა გაცნობა.

3. კულტურული მცენარეების, შინაური ცხოველებისა და ფრინველების მოვლის, მოშენებისა და პროდუქტიულობის ზრდის აგროზოოტექნიკური წესების შესწავლა.

4. დახმარების გაწევა სკოლებისათვის სასწავლო-საცდელი ნაკვეთების, ცოცხალი ბუნების კუთხეებისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტების მოწყობასა და შევსებაში (საჭირო დიდაქტიკური მასალების: თესლების, ნერგების, ცხოველების, ფრინველებისა და სხვათა მიწოდება).

5. თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადება და სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო მატერიალური ბაზის შევსება.

6. სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებათა სანიმუშო ექსპონატებისა და ნაკეთობათა გამოვლინება, შერჩევა და წარდგენა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

II. კონკურსში მონაწილეობის პირობები და თემატიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. კონკურსში — „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ — მონაწილეობის მიღება შეუძლია:

ა) რვაწლიანი და საშუალო სკოლების, პედაგოგიური სასწავლებლების, სპეცსკოლების მოსწავლეებსა და საბავშვო სახლების აღსაზრდელებს;

ბ) სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებებს — პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებსა და სახლებს, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ, საქალაქო სადგურებსა და სხვა;

გ) პიონერთა რგოლებს, რაზმებსა და რაზმეულებს;

დ) სკოლების ნატურალისტთა წრეებს;

ე) ნორჩ ნატურალისტებს.

2. კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს:

ა) სანიმუშო თვითნაკეთი სასწავლო ხელსაწყოები და სასოფლო-სამეურნეო იარაღები საბუნებისმეტყველო დისციპლინების (ბოტანიკის, ზოოლოგიის, ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის, დარვინიზმის საფუძვლებისა და სხვ.) და სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების მიხედვით (მევენახეობა-მეხილეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა და ხსვ.);

ბ) მშობლიური მხარის ფლორისა და ფაუნის ცალკეული დამახასიათებელი მასალები და ფენოლოგიური დაკვირვებები;

გ) ნატურალისტთა წრის ან ნორჩი ნატურალისტის სანიმუშო მუშაობის ამსახველი ცნობები;

დ) სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, ბუნების ცოცხალ კუთხესა და ბუნებისმეტყველების კაბინეტში ჩატარებული მუშაობის დამახასიათებელი ექსპონატები;

ე) სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი და ადრეული მოსავლიანობის უახლესი მიღწევების ამსახველი ექსპონატები, აგრეთვე აგროტექნიკური წესების აღწერა, რომელთა განხორციელებამ უზრუნველყო ესა თუ ის თვალსაჩინო მიღწევა;

ვ) მეცხოველეობისა და მეფრინველეობის საუკეთესო მიღწევების ამსახველი ექსპონატები და ცნობები ამ მიღწევის ზოოტექნიკურ ღონისძიებებზე;

ზ) ი. ვ. მიჩურინის მეთოდების გამოყენება (ჰიბრიდიზაცია, შერჩევა და ა. შ.) შედეგად მიღებული სწრაფმწიფადი, ყინვაგამ-

ძლე ან სხვა სასარგებლო თვისების მქონე მცენარეები და ამ ბა-
მუშაოს მთელი პროცესის სქემატური მასალები;

თ) ტ. დ. ლისენკოს მეთოდით კარტოფილის საგაზაფხულო
დარგვის საუკეთესო შედეგების ამსახველი ექსპონატები და ამ
მეთოდების გამოყენებით მოსავლიანობის ზრდის ცნობები;

ი) მინდორსაცავ ნარგავებზე ცდების დაყენების სანიმუშო ცნო-
ბები, ტყესაცავ ზოლებში, ან პარკებში ხეხილის ან ტყის ჯიშის
ნერგების, ბუჩქების დარგვის შედეგებისა და ტყის ხემცენარეების
ხეხილოვან მცენარეებად შეცვლის საუკეთესო მასალები (საძირეზე
მყნობა, დარგვა და სხვ.);

კ) ოთახის დეკორაციულ მცენარეთა საუკეთესო ეგზემპლარები
და ვეგეტატიური გამრავლების აღწერილობა (ბეგონია, გეორგინა,
ფიკუსი, ხრიზანტემა, მიხაკი) აგრეთვე ხეხილ-კენკროვანები; ვა-
ზი, ბროწეული, ლიმონი, მარწყვი, ხენდრო და სხვ;

ლ) რაიონისათვის დამახასიათებელ მცენარეთა ჰერბარიუმები,
სათანადო ახსნა-განმარტებებით (ადგილობრივი სახელწოდების,
გავრცელების ადგილის, შეგროვების დროის, შემგროვებლის გვა-
რის აღნიშვნისა და მცენარის მნიშვნელობისა და მისი გამოყენე-
ბის ზუსტი ცნობებით);

მ) სამკურნალო მცენარეთა ჰერბარიუმი ახსნა-განმარტებებით
(ადგილობრივი სახელწოდება, გავრცელების ადგილი, გამოყენება
ხალხურ მედიცინაში და სხვ);

ნ) ბუნების მოვლენებზე ფენოლოგიური დაკვირვებების მასა-
ლები (გაკვირტვა, შეფოთვლა, ნაყოფის მომწიფება და სხვა) სათა-
ნადო აღწერილობით;

ო) ცხოველების, ფრინველებისა და მწერების ცხოვრებაზე დაკ-
ვირვებების აღწერითი მასალები (კურდღელი, მტრედი, აბრეშუ-
მის ჭია, ფუტკარი და სხვ.);

პ) სოფლის მეურნეობის მავნე მწერების შესწავლის მასალები
და მათ წინააღმდეგ ჩატარებული ბრძოლის შედეგები (ცალკეული
კულტურებისათვის დამახასიათებელი მავნე მწერების აღნიშვნით);

ჟ) ადგილობრივად გავრცელებული მწერების, გარეული ფრინვე-
ლებისა და მათი კვერცხების, წვრილი ძუძუმწოვრების, მოლუსკე-
ბის, თევზების, ამფიბიების, ქვეწარმავლების, იმ სარეველა მცენა-
რეების თესლებისა და ნაყოფის, რითაც გარეული ფრინველები
იკვებებიან და სხვა (სათანადო ახსნა-განმარტებებით: ადგილობ-

რივი სახელწოდებები, სამეურნეო ღირებულება, შეგროვების ადგილი, დრო და ვინ შეაგროვა);

რ) აქვარიუმი, ტერარიუმი, ინსექტარიუმი, მოდელები: მეფრინველეობის ფერმის, მექანიზირებული სარძევე ფერმის, ინკუბატორიუმის, ბრუდერის, ავტომატური სარწყულებლის, ელექტრო საწველების, მულაჟები ზოოლოგიიდან და ადამიანის ანატომიაფიზიოლოგიიდან, მნათი მაკეტები ცხოველთა და ფრინველთა სამყაროდან (სათანადო ახსნა-განმარტებებით: სახელწოდება, სასწავლო ღირებულება, ვინ დაამზადა);

ს) შინაური კურდღელი, ზღვის გოჭები, ჯიშიანი ქათმები, წვრილი გარეული ფრინველები (ჩხიკვი, შაშვი, შოშია, კაჭკაჭი, მიმინო, ჩიტბატონა, მწყერი და სხვა);

წვრილი ცხოველები და ფრინველები, რომელთაც გამოუმუშავეს რაიმე სახის ახალი პირობითი რეფლექსები (კუ, გომბეშო, შოშია, ბაჭია და სხვა);

ტ) სანიმუშო და ორგანიზებული ექსკურსიებისა და ლაშქრობების ამსახველი მასალები, მარშრუტების დამუშავებული და შესწავლილი თემების აღნიშვნით (გეგმა-მარშრუტი, ჰერბარიუმები, კოლექციები, პრეპარატები, ფიტულები, ფრინველთა ბინები).

მაგ. მწერი მისი განვითარების სრული ციკლით (კვერცხი, მატლი, ჭუპრი, გამაფრთხილებელი და მფარველობითი შეფერადების საილუსტრაციო ნიმუშები და სხვა);

უ) საბჭოთა მეურნეობებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მომუშავე შრომის გმირებისა და მოწინავე ადამიანების მიღწევების სანიმუშო შედეგების თემატიკური და ნატურალური მასალები;

ფ) სას.-სამეურნეო კულტურების მოსავალიანობის გადიდებაზე დაყენებული ცდების შედეგები (სასუქების გავლენა, სასათბურო მეურნეობა, ტორფნეშომპალის ქოთნების გამოყენება, კვადრატულ-ბუდობრივი თესვა, გაახვლა და სხვა); ჩატარებული მუშაობის ზუსტი აღწერილობა და ნატურალური ექსპონატები;

ქ) კოლმეურნე-მეცნიერის მალცევის მეთოდის გამოყენებით ნიადაგის დამუშავების ცდების შედეგები და წინადადებანი ამ მეთოდის საქართველოს ცალკეულ რაიონებში გამოყენების უპირატესობათა შესახებ (სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებით);

ღ) ფოლკლორული მასალები მოწინავე ადამიანებზე, მცენარეებზე, ცხოველებზე და სხვ.;

3. პარტიისა და მთავრობის დადგენილებების, ლიტერატურული წყაროების, ექსკურსიებისა და ცდა-დაკვირვებების საფუძველზე დამუშავებული თემები:

ა) სექტემბრისა და მომდევნო პლენუმების დადგენილებები სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ და ჩვენი მიღწევები;

ბ) ქარსაცავი და მინდორსაცავი ზოლების გაშენება და მათი მნიშვნელობა;

გ) ყამირი, ჭაობიანი და გვალვიანი ადგილების გამოყენება;

დ) სუბტროპიკული კულტურებისა და მევენახეობა-მეხილეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;

ე) დარვინი და მისი მოძღვრება, პირველი რუსი დარვინისტი კ. ა. ტიმირიაზევი;

ვ) ბუნების დიდი გარდამქმნელი ი. ვ. მიჩურინი;

ზ) გამოჩენილი რუსი მეცნიერები-აკადემიკოსები: ი. პ. პავლოვი, მ. ი. ივანოვი, ტ. დ. ლისენკო და სხვა;

თ) პირველი ქართველი ფიზიოლოგი თ. რ. თარხნიშვილი;

ი) ქართველი მიჩურინელები და მათი მიღწევები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: დამუშავებულ თემას თან უნდა ახლდეს სათანადო ექსპონატები, მხატვრულად გაფორმებული ფარები, ჰერბარიუმები, ალბომები, დიაგრამები, ჩანახატები, სველი პრეპარატები, ხელოვნური შერჩევის სქემები და სხვ.

III. კონკურსის ჩატარების წესი

1. კონკურსის ჩატარების ხელმძღვანელობისათვის იქმნება რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებთან, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებთან იქმნება კონკურსის ჩატარების ხელშემწყობი კომისიები სათანადო კომკავშირული და განათლების ორგანოების, სკოლისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

2. ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქისა და ქ. თბილისის კონკურსის ხელშემწყობი კომისიები:

ა) ხელმძღვანელობენ რაიონების კონკურის ხელშემწყობი კომისიების მუშაობას;

ბ) კონკურსისათვის მზადების საქმეში სკოლებისათვის მეთოდური რჩევების აღმოსაჩენად ადგილებზე ავლენენ სპეციალისტებს;

გ) საქალაქო და სარაიონო გამოფენებზე შერჩეული ექსპონატებიდან 1956 წლის პირველი ოქტომბრიდან 5 ოქტომბრამდე აწყობენ რესპუბლიკურ, საოლქო და საქალაქო გამოფენებს;

დ) ამ გამოფენებიდან შეარჩევენ და 1956 წლის 10 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრამდე საუკეთესო ექსპონატებს გზავნიან ქ. თბილისში ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურში შემაჯამებელ რესპუბლიკურ გამოფენაზე.

2. რაიონებში, ქალაქებში შექმნილი კონკურსის ხელშემწყობი კომისიები:

ა) აცნობენ კონკურსის ჩატარების პირობებს ყველა მოსწავლეს;

ბ) კონკურსის მონაწილეთათვის ატარებენ კონსულტაციებს და უწევენ მათ პრაქტიკულ დახმარებას;

გ) 1956 წლის 20 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე აწყობენ კონკურსზე წარმოდგენილი ნამუშევრების საქალაქო ან სარაიონო გამოფენას;

დ) გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატებიდან არჩევენ საუკეთესოებს რესპუბლიკურ გამოფენისათვის.

4. სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები და ნორჩი ნატურალისტები, რომლებიც კონკურსში მონაწილეობის სურვილს გამოსთქვამენ, წერილობით აცნობებენ ადგილობრივ ხელშემწყობ კომისიას. წერილში აღინიშნება თუ რამდენი მოსწავლე ებმება კონკურსში, რის გაკეთება და დამზადებაა განზრახული და ვინ ხელმძღვანელობს მათ. ადგილობრივი კომისიები კი საბოლოო ცნობებს უგზავნიან რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს ქ. თბილისში.

5. მეორე რესპუბლიკური გამოფენა ქ. თბილისში მოეწყობა 20/X-დან 1/XI-მდე.

IV. დაჯილდოება

საორგანიზაციო კომიტეტი აჯამებს ადგილზე ჩატარებულ მუშაობას. გამოფენის მასალებიდან შეარჩევს საუკეთესოებს და აჯილდოებს მათ ავტორებს. ჯილდოვდებიან აგრეთვე წრეების ხელმძღ-

ვანელები და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებანი, რომლებიც კონკურსში კარგ მაჩვენებლებს მიაღწევენ. ამასთან ერთად კომიტეტი აყენებს საკითხს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე საპატიო სასკოლო დაწესებულებების, ნორჩ ნატურალისტთა წრის ან ნორჩი ნატურალისტის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ გაგზავნის შესახებ.

საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი: ქ. თბილისი, მიასნიკოვის ქ. № 125, ელსმენი: 4-05-83. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ. სახ. ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. დებულება-საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საპატიო სიგელით დაჯილდოების პირობებისა და ჩაბარების შესახებ . . 3
2. ბრძანება № 2031—ცხაკაიას, წულუკიძისა და სიღნაღის პედაგოგიური სასწავლებლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 6
3. ბრძანება № 8—ახმეტის, ვანის, წითელწყაროს, მაიაკოვსკის და დუშეთის რაიონებში მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მოწყობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . 10
4. ბრძანება № 9—ქ. თბილისის მეორე გამაჯანსაღებელი, საჩხერის, მარნეულისა და ახალციხის რაიონების საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 13
5. ბრძანება № 16—ქ. თბილისის სკოლებში მოსწავლეთა შრომითი აღზრდის მდგომარეობის შესახებ 17
6. ბრძანება № 19—ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების სოფლის ახალგაზრდობის რვაწლიან სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 24
7. ბრძანება № 23—საქართველოს სსრ რაიონების სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში პირველი რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ შედეგებისა და მეორე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ 28
8. დებულება—მეორე რესპუბლიკური კონკურსისა — „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ 48

სახ. საქ. სახელმწიფ

უფასო
18.14/94
ეროვნული
ბიბლიოთეკა